


# ინგლისურ-ქართული ლექსიკონების უცნობი ფუძეები

ჯოჯა ელისის

ქართველური ენების შედარებითი ლექსიკონი



თინათინ მარგალიტაძა, სალომე ზილლაძა

თინათინ მარგალიტაძე, სალომე ჭილაძე

# ინგლისურ-ქართული ლექსიკოგრაფიის უცნობი ფურცლები

(ჯორჯ ელისის ქართველური ენების შედარებითი  
ლექსიკონი)

თბილისი

2021

რედაქტორები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი  
**მარია ოძელი**

ფილოლოგიის დოქტორი  
**გიორგი მელაძე**

დაკაბადონება, წიგნისა და ყდის დიზაინი: **ირინა სიღამონიძე**

General Map  
of the  
COUNTRIES  
Comprehended between the  
BLACK SEA  
and the  
CASPIAN:  
London

© თინათინ მარგალიტაძე, სალომე ჭილაძე


Russian Versts  
English Miles

# შინაარსი

---


შესავალი .....	5
<b>თავი 1.</b> <b>ჯორჯ ედისი და მისი შიდაჩაბითი დეუსიკონი .....</b>	<b>7</b>
1.1. ჯორჯ ედისი ქართულ-უცხოურ წყაროებში.....	7
1.2. ჯორჯ ედისის ქართველური ენების შედარებითი დექსიკონი.....	10
1.3. დექსიკონის გაციფრების პრინციპები.....	16
1.4. ქართველური ენების სიტყვების ინგლისურად ტრანსლიტერაციის წესები .....	19
<b>თავი 2.</b> <b>ქართველური ენების შიდაჩაბითი დეუსიკონის ანალიზი ...</b>	<b>27</b>
2.1. დექსიკონის ინგლისურ-ქართული ნაწილი .....	27
2.2. დექსიკონის ინგლისურ-მეგრული ნაწილი.....	43
2.3. დექსიკონის ინგლისურ-სვანური ნაწილი .....	50
2.4. ქართული ანბანით ჩაწერილი ჯორჯ ედისის შედარებითი დექსიკონი .....	57
დასკვნა.....	64
გამოყენებული ლიტერატურა .....	67

George Ellis



MEMOIR OF A MAP OF THE  
COUNTRIES COMPREHENDED  
BETWEEN THE BLACK  
SEA AND THE CASPIAN

With an Account of the Caucasian Nations,  
and Vocabularies of Their Languages



## შესავალი

1963 წლის 26 ივლისს, გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ დაიბეჭდა ცნობილი ქართველი ანგლისტის, პროფესორ ნიკო ყიასაშვილის სტატია „ერთი უნიკალური წიგნის შესახებ“ (ყიასაშვილი 1963). სწორედ ამ სტატიით შეიტყო პირველად ქართულმა საზოგადოებამ ბრიტანელი ავტორის ჯორჯ ელისის წიგნის შესახებ „რუკა შავი და კასპიის ზღვებს შორის მოთავსებული ქვეყნებისა, კავკასიის ხალხთა აღწერითა და მათი ენების სიტყვარებით“ (Memoir of Map of the Countries Comprahended Between the Black Sea, and the Caspian, with an Account of the Caucasian Nations and Vocabularies of their Languages).

წიგნი 1788 წელს გამოიცა ლონდონში და მასში აღწერილია კავკასიის ხალხთა ისტორია, კულტურა, რელიგია, მოცემულია ინფორმაცია კავკასიის რეგიონში გავრცელებული ენების შესახებ. კავკასიის ქვეყნებს შორის გარკვეული ადგილი ეთმობა საქართველოს, რომელსაც ავტორი ურთავს ქართველური ენების მომცრო შედარებით ლექსიკონს. საყურადღებოა, რომ ავტორი ინტერესდება არა მხოლოდ ქართული ენით, არამედ ქართველური ენებით, და წიგნში ქართულთან ერთად წარმოდგენილია მეგრული და სვანური ენების მასალაც. შეიძლება ითქვას, რომ ამ წიგნში შესული ლექსიკოგრაფიული მასალა არის პირველი ნიმუში ქართველური ენების განხილვისა ინგლისურ ენასთან მიმართებით. სწორედ ამიტომ მიიპყრო წიგნმა ბატონი ნიკო ყიასაშვილის ყურადღება იმ ეთნოგრაფიულ, გეოგრაფიულ და პოლიტიკურ ინფორმაციასთან ერთად, რასაც იგი შეიცავს საქართველოს შესახებ. სწორედ ამ ლექსიკოგრაფიულმა მასალამ განსაზღვრა ჩვენი ინტერესიც ჯორჯ ელისის აღნიშნული წიგნისადმი.

წინამდებარე გამოცემა მეორე წიგნია იმ ციკლიდან, რომელიც ეძღვნება ინგლისურ-ქართული ლექსიკოგრაფიის ისტორიის ადრეული პერიოდის შესწავლას. ამ ციკლის პირველი წიგნი გამოიცა 2019 წელს და მასში შევიდა დიდი ბრიტანელი ქართველოლოგის, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურ

ენაზე პირველი მთარგმნელის, მარჯორი უორდროპის „ინგლისურ-ქართული ლექსიკონი“ (უორდროპი 2019) ორენოვანი ინგლისურ-ქართული შესავლითა და კომენტარებით.\*

ჯორჯ ელისის ქართველური ენების ლექსიკონისთვის შემუშავდა ლექსიკონის გაციფრების პრინციპები, დამუშავდა ტრანსლიტერაციის წესები როგორც ქართული, ისე მეგრული და სვანური ენებისათვის. ვინაიდან ლექსიკონს თავად არ ახლავს ტრანსლიტერაციის წესები, ეს წესები აღიწერა სამივე ქართველური ენის მასალაზე დაკვირვებითა და მისი სიხშირული შესწავლის საფუძველზე.

წიგნის პირველი თავი ეთმობა ჯორჯ ელისს და მისი ლექსიკონის წყაროების მიმოხილვას. ამავე თავში მოცემულია თავად ქართველური ენების შედარებითი ლექსიკონი, აღწერილია ლექსიკონის გაციფრების პრინციპები და ტრანსლიტერაციის წესები.

წიგნის მეორე თავში წარმოდგენილია ჩვენ მიერ გაციფრებული ქართველური ენების შედარებითი ლექსიკონი და მისი ანალიზი. ლექსიკონის უკეთ აღქმის მიზნით, იგი დაყოფილია სამ ნაწილად: ინგლისურ-ქართულ, ინგლისურ-მეგრულ და ინგლისურ-სვანურ ნაწილებად. მეორე თავის ბოლოს კი მოცემულია ჯორჯ ელისის ქართველური ენების გაერთიანებული ლექსიკონი, რომელშიც ქართველური ენების ნაწილი ქართული ანბანითაა ჩაწერილი.

დიდი მადლობა გვინდა გადაუხადოთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს ქეთევან მარგიანს და ფილოლოგიის დოქტორს სოფიო დარასელიას, რომლებიც დაგვეხმარნენ ლექსიკონის ინგლისურ-სვანური და ინგლისურ-მეგრული ნაწილების სწორ ინტერპრეტაციასა და ანალიზში. ასევე დიდი მადლობა გვინდა გადაუხადოთ წიგნის რედაქტორებს: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს მარიკა ოძელს და ფილოლოგიის დოქტორს გიორგი მელაძეს – მისი ყურადღებით წაკითხვისა და სასარგებლო რჩევებისათვის.

---

\* მარჯორი უორდროპის „ინგლისურ-ქართული ლექსიკონის“ ელექტრონული ვერსია გამოქვეყნებულია ინტერნეტში შემდეგ მისამართზე:  
<https://margaliti.com/EGD-web.pdf>



## თავი 1. ჯორჯ ელისი და მისი შედარებითი ლექსიკონი

### 1.1. ჯორჯ ელისი ქართულ-უცხოურ წყაროებში

როგორც აღინიშნა, ჯორჯ ელისის წიგნი, „რუკა შავი და კასპიის ზღვებს შორის მოთავსებული ქვეყნებისა, კავკასიის ხალხთა აღწერითა და მათი ენების სიტყვარებით“, 1788 წელს გამოიცა ლონდონში (Ellis 1788). წიგნი სამი ნაწილისაგან შედგება: 1. კავკასიის რუკა; 2. მოკლე ინფორმაცია კავკასიის ხალხების, მათი ისტორიის, რელიგიის, კულტურისა და რიგი სხვა საკითხების შესახებ; 3. კავკასიელი ხალხების ენების, მათ შორის ქართველური ენების, მომცრო შედარებითი ლექსიკონები. გარდა ქართველური




ენებისა, ჯორჯ ელისის წიგნში შეტანილია აფხაზურის, ყაბარდოულ-ჩერქეზულის, ოსურის, ქისტურისა და ლეკური ენების სიტყვარები. როგორც ბატონი ნიკო ყიასაშვილი აღნიშნავს მის ზემოხსენებულ სტატიაში, ამ ენებიდან ყველაზე კარგად ქართული ენის ლექსიკონია შედგენილი, სხვა ენების სიტყვების ამოცნობა კი, ხშირ შემთხვევაში, სპეციალისტებსაც უჭირთ (ყიასაშვილი 1963).

ჯორჯ ელისი უაღრესად განსწავლული პიროვნება იყო, რომელსაც განათლება კემბრიჯის უნივერსიტეტში ჰქონდა მიღებული. იგი იყო ისტორიკოსი, დიპლომატი, პარლამენტის წევრი. 1782-1783 წლებში ჯ. ელისი დიპლომატიური მისიით იმყოფებოდა სანკტ-პეტერბურგში დიდი ბრიტანეთის ელჩთან, სერ ჯეიმს ჰარისთან ერთად. სწორედ ამ პერიოდში დაინტერესდა იგი კავკასიით და კავკასიელი ხალხებით. თავად ელისი არასოდეს ყოფილა კავკასიაში და, აღნიშნულ წიგნზე მუშაობისას, იგი ძირითადად დაეყრდნო ი. გიულდენშტედტის მოგზაურობის ჩანაწერებს, ასევე ი. რაინეგის საქართველოს აღწერას, პ. ს. პალასისა და ფრ. მიულერის შრომებს,

ასევე ნაშრომისთვის გამოიყენა ანტიკური წყაროები (ყიასაშვილი 1963; ოძელი 1998: 32-33).

როგორც წიგნის წინასიტყვაობიდან ირკვევა, ჯორჯ ელისის შედარებითი ლექსიკონი დაეფუძნა რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე მეორის დავალებით გამოცემულ „მთელი მსოფლიოს ენების შედარებით ლექსიკონს“ (*Linguarum totius orbis vocabularia comparativa*, რუსულად „Сравнительные словари всех языков и



*наречий*“),\* რომელშიც შევიდა მსოფლიოს 200-მდე ენის, მათ შორის კავკასიური და ქართველური ენების, მასალა. აღნიშნული ლექსიკონის შესადგენად ეკატერინე მეორემ მოიწვია ცნობილი გერმანელი მეცნიერი, ენციკლოპედისტი, ბუნებისმეტყველი, გეოგრაფი და მოგზაური პეტერ სიმონ პალასი, რომელიც 1767 წლიდან პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრი იყო. ლექსიკონი პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიამ გამოსცა პეტერბურგში ორ ტომად 1787-1789 წლებში. ცნობილი ქართველი ლექსიკოგრაფის, ბატონი ალექსანდრე ღლონტის მიერ მოძიებული ინფორმაციიდან ირკვევა, რომ ქართველური ენების მასალა აღნიშნულ ლექსიკონში მოხვდა ი. გიულდენშტედტის ჩანაწერების მიხედვით. ალ. ღლონტმა ასევე გამოიკვლია, რომ ქართველური ენების მასალის შეკრებაში ი. გიულდენშტედტს, რომელმაც ქართული ენა არ იცოდა, ეხმარებოდა ნ. ახვერდოვი, წარმოშობით ქართველი თავადიშვილი. ქართველურ ენებზე მუშაობისას, შედარებითი ლექსიკონის რედაქციას ასევე გამოუყენებია ქართველი მოღვაწის, ანტონ მოურავოვის მიერ მიწოდებული მასალაც (ღლონტი 1983).

ნიგნის წინასიტყვაობაში ჯ. ელისი დანანებით აღნიშნავს, რომ ლექსიკონში არ არის სრულად წარმოდგენილი ინფორმაცია ზოგი ენისა თუ დიალექტის შესახებ, ვინაიდან ეს ინფორმაცია არ იყო წყაროდ გამოყენებულ რუსულ ლექსიკონში. იგი ასევე აღნიშნავს, რომ ინგლისური ასოებით ვერ მოხერხდა კავკასიური ენების ბგერითი შემადგენლობის მთელი სიზუსტით გადმოცემა. ეს ბგერები ჯერ რუსულ გამოცემაში დამახინჯდა, შესაბამისი რუსული ბგერების არარსებობის გამო, შემდეგ კი, ინგლისური ანბანით მათი გადმოცემისას, კიდევ უფრო დაშორდა კავკასიური ენების და, მათ შორის, ქართველური ენების ბგერებს. ლექსიკონში რიგ შემთხვევაში აღრეულია ტერმინები ენა და დიალექტი. სვანური ენა მიჩნეუ-

---

\* [https://archive.org/details/bub\\_gb\\_mPBLAAAAcAAJ](https://archive.org/details/bub_gb_mPBLAAAAcAAJ)

ლია დიალექტად, ხოლო მეგრული სიტყვები მოხსენიებულია იმერულ დიალექტად. ეს შეცდომა რუსული ლექსიკონიდანაა გადმოტანილი, სადაც მეგრული სიტყვები ჩაწერილია, როგორც იმერული (Имеретинский). რუსული გამოცემისთვის დამახასიათებელი შეცდომები ჯორჯ ელისმა უცვლელად შეიტანა ინგლისურ გამოცემაში.

შეცდომათა მიუხედავად, ეს არის ძალზე მნიშვნელოვანი წიგნი, რომლის ლექსიკოგრაფიული ნაწილი პირველი წყაროა ინგლისურენოვანი სამყაროსათვის კავკასიურ და ქართველურ ენებზე. აღნიშნულ ლექსიკონში შესული ქართულ-მეგრულ-სვანური ლექსიკური მასალა და განსაკუთრებით მეგრული და სვანური, მნიშვნელოვანია იმითაც, რომ მას უნდა გაეღვივებინა ინტერესი ქართველური ენების მეცნიერული შესწავლისადმი.

## 1.2. ჯორჯ ელისის ქართველური ენების შედარებითი ლექსიკონი

ამ ქვეთავში წარმოდგენილია ქართველური ენების შედარებითი ლექსიკონი ჯორჯ ელისის განხილული წიგნიდან (გვ. 77-80).

[ 77 ]

GEORGIAN LANGUAGE.

	<i>Cardel Dialect.</i>	<i>Imeretian.</i>	<i>Suaneti Dialect.</i>
God	Gmerty	Hosonti	Gherbet
Heaven	Tfah	Tfah	Tfah
Father	Mamma	Mooma	Moo
Mother	Dedda	Deeda	Dec
Son	Shilly	Skooa	Yezag
Daughter	Kaly	Ozoory	Zoomak
Brother	Timah	Djeema	Mookhbay
Sister	Da	Datshyan	Datchoor
Husband	Kinary	Komodiy	Chah
Wife	Toly	Cheely	Akhoo
Girl	Kally	Ozoory	Soorag
Boy	Bidjaoo	Bidjaoo	Tihkynta
Child	Kmatvilly, Tivilly, Krmah	Bothy	Bolih
Man	Kadiry	Kodilly	Many
People	Khalkhee, Erny, Catfuy	Margalee	Khvace-maray
Head	Tavee, Kavee	Doodce	Tkhoom
Face	Peeraffa, Sakhay, Pteris-fakhay	Pejeehlee	Tchkhin-dee
Nose	Tikhveery	Toly	Yepkhma
Nostril	Netto, Neftry		
Eye	Twaly, Twaly		
Eyebrow	Tfarby		
Eyelashes	Khaltay, Erkta		
Ear	Koory		
Forehead	Shoobly	Oodiy	Shdem
Hair	Tma	Kooa	Neekba
Cheeks	Loka, Koba	Toma	Patoo
Mouth	Perree		
Throat	Kharshanto, Tkelly	Pidjee	Peel
Teeth	Kbeely, Gbeely	Keebeery	Shdik
Tongue	Aina	Neena	Nin
Beard	Tiwery, Tvery	Premooly	Waray
Neck	Kifferry, Kally	Kifferry	Kinikh
Shoulder	Pkary, Mkhary	Khoodiy	Mekher
Elbow	Dakvy, Tikrtah		

Hand

**GEORGIAN LANGUAGE.**

	<i>Carduel Dialect.</i>	<i>Imeretian.</i>	<i>Suaneti Dialect.</i>
God	Gmerty	Horomti	Gherbet
Heaven	Tsah	Tsash	Tsah
Father	Mamma	Mooma	Moo
Mother	Dedda	Deeda	Dee
Son	Shyilly	Skooa	Yezag
Daughter	Kaly	Ozoory	Zoonak
Brother	Tsmah	Djeema	Moohkbay
Sister	Da	Datchkym	Datchoor
Husband	Kmary	Komodjy	Chash
Wife	Tsoly	Cheely	Aikhoo
Girl	kally	Ozoory	Soorag
Boy	Bidjao	Bidjao	Tshkynta
Child	Kmatsvilly, Tsvilly, Krmah	Boshy	Bobsh
Man	Kadtsy	Kodshy	Maray
People	Khalkhee, Erny, Catsuy	Margalee	Khvaeemaray
Head	Tavee, Kavee	Doodee	Tkhoom
Face	Peerassa, sakhay, Peeris-sakhay	Peejeeshee	
Nose	Tskhveery	Tchkhindee	Yepkhna
Nostrill	Nesto, Nestvy		
Eye	Twaly, Tvaly	Toly	Tay
Eyebrow	Tsarby		
Eyelashes	Khaltay, Erkta		
Ear	Koory	Oodjy	Shdeem
Forehead	Shoobly	Kooa	Neekba
Hair	Tma	Toma	Patoo

ინგლისურ-ქართული ლექსიკოგრაფიის უცნობი ფურცლები

	<i>Carduel Dialect.</i>	<i>Imeretian.</i>	<i>Suaneti Dialect.</i>
Cheek	Loka, Koba		
Mouth	Peeree	Pidjee	Peel
Throat	Kharkhanto, Tkelly		
Teeth	Kbeely, Gbeely	Keebeery	Shdik
Tongue	Aina	Neena	Nin
Beard	Tswerry, Tsverry	Preemooly	Waray
Neck	Kisserry, Kaily	Kisserry	Kinshkh
Shoulder	Pkary, Mkhary	Khoodjy	Mekher
Elbow	Dakvy, Tskrtah		
Hand	Kehelly, Khelly	Kheh	Shee
Fingers	Teetee, Teetebbee, Titnee	Keetee	Pkhooyay
Nails	Fchinly, Pehkhelly, Prchkheelebby	Byrtekha	Tskhah
Belly	Mootselly		
Back	Zoorghy		
Foot	Fayghee, Paykhee, Pekky	Koochkhy	Cheeshkh
Knee	Mookly, Moohkly	Boorgooly	Gweyee
Skin	Tkhavee	Tkhebby	Kan
Flesh	Khortsy, Kartsy	Khortsy	Yekhoo
Bone	Tswally, Tszvally	Tswally	Tjeego
Blood	Seeskhyly	Seeskelly	Yemmesk
Heart	Goolee	Gooree	Goo
Milk	Rtseh, Rdzay	Bjah	Eerdjeh
Hearing	Gogonebba, sasmenelee		
Sight	Kebvelaba, Kedva		
Taste	Ghemovneba, Ghemo		
Smelling	Knossa, Knoseba		

თავი 1. ჯორჯ ელისი და მისი შედარებითი ლექსიკონი

	<i>Carduel Dialect.</i>	<i>Imeretian.</i>	<i>Suaneti Dialect.</i>
Feeling	Shehkeba, Gankheelba, Goorzeenova		
Voice	Khmah		
Name	Sakhely		
Cry	Kveereely, Dsakhely		
Noise	Kakanee, Grgveenba, Tchkoobe		
Clamour	Teereleegodeva, Tkebba		
Word	Saubaree, Seetkhva		
Sleep	Dzeely, Seesmaree	Looree	Looree
Love	Seekvaroobly, Ookvar	Warts	
Pain	Tkeeveely, Salmoba		
Toil	Gartcheelova, Shroma, Sardjelee		
Work	Mooshakova, Mooshaova		
Force	Tszalee, Gonay		
Power	Dzalee, Goneh		
Authority	Cheelova, Chedleba, Khelmsteepaiba		
Marriage	Shayooglebba, Kortseeneba		
Life	Tsuytsotshkhley, Tskhovraba		
Stature	Taneesegzdeelova, Tanee, Agzda, Hazda		
Spirit	Soolee		
Death	Sikvdeela, Stschoolee		
Cold	Tseetsyeh, Seetskheh, Seetseeveh		
Circle	Mgoorgaly, Mergva-leatsre, Symgrgvleh		
Globe	Boorshy, Mgoorbaly		
Sun	Mzeh	Bja	Meej
Moon	Mtwary, Mtvary	Toota	Mij
Star	Maskulavy, Varseelavy	Mooroots	Antkvesk

ინგლისურ-ქართული ლექსიკოგრაფიის უცნობი ფურცლები

	<i>Carduel Dialect.</i>	<i>Imeretian.</i>	<i>Suaneti Dialect.</i>
Ray	Shooshee, Skeeevee, Sharavandee		
Wind	Nyahvee, Karee, Kwheeree		
Storm	Bookee, Brtselgelba, Neeslee		
Rain	Tsuyma, Tsveema	Cheema	Ootchga
Hail	Setkva		
Lighting	Elva, Elvareba	Valy	Elvae
Snow	Tovlee	Terree	Moos
Ice	Kinnooly, Keenoobly	Eenee	Kvarem
Day	Dgheh	Ga	Deshdwee
Night	Gam, Gamey	Zerry	Leket
Morning	Deela		
Evening	Sagamo, Mtsookhry		
Summer	Zapkhooley, Tselniee		
Spring	Gazapooly		
Autumn	Shamodgoma		
Winter	Zamtary		
Year	Ttseeltsadee	Tsanamatsana	Sahee
Time	Dro, Jamee		
Earth	Meetsa	Deehka	Gheem
Water	Tskaly, Tskhaly	Ttskary	Veets
Sea	Zgvebby, Zgva		
River	Bdeenary, Mdeenary		Gangalits
Waves	Ghelva, Ghelvany		
Sand	Khoomy, Kveesha		
Clay	Teekhah, Talakhee		Gheem
Dust	Mstverry		

თავი 1. ჯორჯ ელისი და მისი შედარებითი ლექსიკონი

	<i>Carduel Dialect.</i>	<i>Imeretian.</i>	<i>Suaneti Dialect.</i>
Dirt	Lapee, Talakhee		
Mountain	Keeldeh, Mtah	Keerdey	Kodj
Coast	Tskleesnapeery, Napeera, Plato		
Hill	Sevvee, Bortsvee		
Valley	Vakeh, Baree, Velly		
Air	Atchry, Hahery		
Vapour	Ortkly, Ortkhly		
Fire	Tsetskhlee	Datshkhley	Hemmek
Heat	Nakvertskhaly	Tbeela	
Depth	Seegrmev		
Height	Seemagley		
Breadth	Seeganyerry		
Length	Seegrtseh, Seegsay		
Hole	Nakvrety		
Pit	Ormo		
Ditch	Ruby, Tkhrebly		
Stone	Kva	Kooa	Kva
Gold	Okro	Mokro	Oker
Silver	Bertskhlee	Kvartchkheely	Bertskhleh
Salt	Mareely	Joomy	Gheem
Miracle	Sakoorvely		
Forest	Tkeh, Tkkeh, Tenkeh		
Grass	Balakhee, Teeva		
Tree	Tkhertkey, Khay	Tkah	Tskhekka
Pole	Palo, Margheely		
Verdure	Mtsvaneely, Tsvanveely		



### 1.3. ლექსიკონის გაციფრების პრინციპები

ჯორჯ ელისის ქართველური ენების შედარებითი ლექსიკონის გასაანალიზებლად ლექსიკონი სამ ნაწილად დავყავით და ცალ-ცალკე შევისწავლეთ ინგლისურ-ქართული, ინგლისურ-მეგრული და ინგლისურ-სვანური ნაწილები. ყველაზე დიდი მონაკვეთი სწორედ ინგლისურ-ქართული ნაწილია, იგი ყველაზე მეტ სიტყვას მოიცავს (129 სიტყვა). შედარებით შეკვეცილია მეგრული და სვანური ნაწილები (მეგრული - 61 სიტყვა; სვანური - 60 სიტყვა), რადგან რუსულ წყაროში მხოლოდ ეს ეკვივალენტები დასტურდება. თითოეული ნაწილისთვის ცალკე შევისწავლეთ ტრანსლიტერაციის წესები და დეტალურად გამოვიკვლიეთ თითოეული სიტყვა.

1. ორიგინალში მოცემულია ინგლისური სიტყვა და მისი ქართული, მეგრული და სვანური ეკვივალენტების ლათინური ასოებით ტრანსლიტერირებული ფორმები. როგორც ზემოთ აღინიშნა, მასალა დაიყო სამ ნაწილად: ინგლისურ-ქართულ, ინგლისურ-მეგრულ და ინგლისურ-სვანურ ნაწილებად. შესაბამისად, თითოეული ნაწილი შედგებოდა ორი სვეტისგან, რომელთაც ჩვენ დავუმატეთ კიდევ ორი სვეტი: ქართული, მეგრული და სვანური ეკვივალენტები, ჩაწერილი ქართული ანბანით და კომენტარების სვეტი.

2. მეორე სვეტში, ანუ ქართული, მეგრული და სვანური სიტყვების ლათინური ასოებით ტრანსლიტერირებულ სვეტში, წითლად გვაქვს მონიშნული არასწორად ტრანსლიტერირებული სიტყვები, ხოლო კომენტარების სვეტში, მოცემული სიტყვის გასწვრივ, აღწერილია ეს შეცდომა.

მაგ.: Son - **Shyilly** - [ქართული სიტყვა არასწორადაა ტრანსლიტერირებული, y-ს ნაცვლად უნდა იყოს v].

3. მესამე სვეტში, ანუ ქართული, მეგრული და სვანური შესატყვისების სვეტში, ნაცრისფერი მარკერით მონიშნულია და კვადრატულ ფრჩხილებშია მოთავსებული ქართული, მეგრული ან სვანური სიტყვის ის მნიშვნელობა, რა მნიშვნელობითაც სიტყვა შეტანილია ჯ. ელისის ლექსიკონში (პოლისემიური ან მოძველებული).

მაგ.: Son - **Shyilly** - შვილი [ვაჟიშვილი].

კომენტარების სვეტში ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონიდან (ქეგლი), ასევე მეგრული და სვანური ენების ლექსიკონებიდან მოტანილია მოცემული სიტყვის ის მნიშვნელობა, რაც დასტურდება ჯ. ელისის ლექსიკონში. ეს კომენტარიც კვადრატულ ფრჩხილებშია მოთავსებული და ნაცრისფერი მარკერითაა მონიშნული, რათა ადვილად გამორჩედეს ლექსიკონის რომელ ნაწილს მიემატება ეს კომენტარი.

მაგ.: [ქეგლი - ადამიანის შვილი მამრობითი სქესისა, - ძე, ვაჟი].

4. ინგლისური სიტყვის ეკვივალენტ ქართულ სიტყვას განმარტება მაშინაც აქვს დართული კვადრატულ ფრჩხილებში, თუ ეს ქართული სიტყვა მოძველებულია და თანამედროვე ქართულ ენაში ან საერთოდ არ გამოიყენება, ან ამ მნიშვნელობით არ გამოიყენება.

მაგალითად:

Elbow	<b>Dakvy,</b> Tskrtah	იდაყვი, წყრთა	[ქეგლი - წყრთა: ხელის ნაწილი იდაყვიდან თითების წვერებამდე]
-------	--------------------------	------------------	--

5. მთლიანობაში, ლექსიკონის ერთი დამუშავებული სიტყვა ასე გამოიყურება:

Son	Shyilly	შვილი [ვაჟიშვილი]	[ქართული სიტყვა არასწორა- დაა ტრანსლიტერირებული, y-ს ნაცვლად უნდა იყოს v. ქეგლი - ადამიანის შვილი მამრობითი სქესისა, - ძე, ვაჟი]
-----	---------	----------------------	--

6. თუ ინგლისური სიტყვა პოლისემიურია და ქართული ეკვივალენტი მიემართება ინგლისური სიტყვის ერთ-ერთ პოლისემიურ მნიშვნელობას, პირველსავე სვეტში, ინგლისური სიტყვის ქვემოთ, კვადრატულ ფრჩხილებში მითითებულია ის პოლისემიური მნიშვნელობა, რომელსაც ქართული ეკვივალენტი შეესატყვისება. კვადრატულ ფრჩხილებში მოქცეული ინგლისური სიტყვის პოლისემიური მნიშვნელობა ასევე ნაცრისფერი მარკერითაა მონიშნული.

მაგ.: Girl - Kally - ქალი.

[a young woman]

7. ინგლისური სიტყვის ქართული, მეგრული და სვანური შესატყვისის ტრანსლიტერირებულ ნაწილში წითელი შრიფტით ასევე მონიშნულია შეცდომა.

მაგ.: nostril-ის პირველი ქართული შესატყვისი სწორია - ნესტო, მეორე კი შეცდომაა, რადგან ნესტვი მოძველებული სიტყვაა და აღნიშნავს - „ყოველგვარ ჩასაბერ საკრავს“. ასეთ შემთხვევაში კვადრატულ ფრჩხილებში მოთავსებულია შეცდომით მოყვანილი ეკვივალენტის განმარტება, რათა მკითხველისთვის შეცდომა გასაგები იყოს. ეს განმარტებაც ნაცრისფერი მარკერითაა მონიშნული.

მაგალითად:

Nostril	Nesto, Nestvy	ნესტო, ნესტვი	[მეორე სიტყვა <b>ნესტვი</b> არ შეესაბამება მოცემულ ინგლისურ სიტყვას. ქეგლი - ნესტვი ძვ. ყოველგვარი ჩასაბერი საკრავი]
---------	------------------	------------------	---

8. თუ ინგლისური სიტყვის ქართული, მეგრული და სვანური ეკვივალენტის ტრანსლიტერირებული ფორმები არც ერთ ქართულ, მეგრულ ან სვანურ სიტყვას არ შეესატყვისება, ეს ფორმები წითელი შრიფტითაა მოყვანილი, როგორც შეცდომები, ხოლო მესამე სვეტში, ქართული ანბანით ჩანერილი ქართული, მეგრული და სვანური ეკვივალენტის ნაცვლად კითხვის ნიშნებია დასმული.

მაგალითად:

Eyelashes	Khaltay, Erkta	?????	[ტრანსლიტერირებული სიტყვები გაუგებარია]
-----------	----------------	-------	---

9. ლექსიკონის მეგრულ და სვანურ ნაწილებში ინგლისურ სიტყვას ფრჩხილებში მიწერილი აქვს ქართული შესატყვისი.

#### 1.4. ქართველური ენების სიტყვების ინგლისურად ტრანსლიტერაციის წესები

ჯ. ელისის ლექსიკონში არ არის მოყვანილი ტრანსლიტერაციის წესები, რომლებიც მან თავის შედარებით ლექსიკონში გამოიყენა ქართული, მეგრული და სვანური სიტყვების ინგლისურად ჩასაწერად.

ამიტომ, ეს წესები აღწერეთ სამივე ენის მასალაზე დაკვირვებით და სიხშირული პრინციპის გამოყენებით.

უნდა აღინიშნოს, რომ ტრანსლიტერაციის წესები, ხშირ შემთხვევაში, საკმაოდ კვალიფიციურადაა შედგენილი. ამ ფაქტს აღნიშნავს პროფესორი ნიკო ყიასაშვილიც მის ზემოხსენებულ სტატიაში. მაგალითისთვის მას მოჰყავს ისეთი რთულად ტრანსლიტერირებადი სიტყვები, როგორებიცაა: ნაკვერცხალი (Nakvertskhaly), წელიწადი (Ttseleetsadee), ხელმწიფება (Khelmtseepaiba), მწუხრი (Mtsookhry), ღელვა (Ghelva), რომლებიც საოცარი სიზუსტითაა გადატანილი ინგლისურად (ყიასაშვილი 1963). ქართველურ ენათა ბგერების ინგლისურად გადმოსაცემად, ძირითადად, გამოყენებულია ინგლისური ენის მართლწერის წესები. მიმღები ენის მართლწერის წესების გამოყენება წყარო ენის სიტყვების ტრანსლიტერაციისათვის საკმაოდ მიღებული პრაქტიკა იყო იმ პერიოდში, რასაც ადასტურებს XVII-XVIII საუკუნეების ქართული ენის ორენოვანი ლექსიკონების ანალიზი იტალიურ ან ჰოლანდიურ ენებთან მიმართებით (უთურგაიძე 1999; ვიტსენი 2013). ქვემოთ მოყვანილი ტრანსლიტერაციის წესები ვრცელდება როგორც ქართულ, ისე მეგრულ და სვანურ ენებზე.

## I ხმოვნები:

1. ქართული შუა რიგის ხმოვანი **ა** ინგლისურად გადატანილია ასო **a**-ს მეშვეობით. ეს ინგლისური ასო დახურულ მარცვალში გადმოსცემს ბგერას [æ] (მაგ.: cat [kæt]), რომელიც ჟღერადობით ახლოსაა ქართულ **ა**-სთან. გარდა ამისა, ინგლისური ასო **a** იკითხება როგორც გრძელი **ა** [ɑ:] თანხმოვანი **r**-ს წინ. ეს კითხვის წესი ინგლისურ ენაში ახალ ინგლისურ პერიოდში გაჩნდა **r**-ს ვოკალიზაციის შედეგად (მაგ.: car [kɑ:], park [pɑ:k]; Расторгуева 2003).

2. ქართული უკანა რიგის ხმოვანი **უ** ინგლისურად ტრანსლიტერირებულია შემდეგნაირად: **oo** ან **u**.

ა) **Oo** ინგლისურ ენაში იკითხება, როგორც გრძელი **უ** [u:] (მაგ., moon [mu:n]). ეს წესი შეიქმნა ახალ ინგლისურ პერიოდში ხმოვანთა დიდი გადაწვევის შედეგად (Great Vowel Shift), როდესაც საშუალო ინგლისური ენის გრძელი ხმოვანი **ო** [o:] ახალ ინგლისურ პერიოდში გადავიდა გრძელ **უ**-ში [u:] (Расторгуева 2003). მაგ.: Shoobly – შუბლი;

ბ) ინგლისური ასო **u** ღია მარცვალში იკითხება, როგორც [ju:], მაგ.: cute [kju:t], mute [mju:t], tube [tju:b].

3. ქართული წინა რიგის ხმოვანი **ი** ინგლისურად რამდენიმენაირადაა ჩაწერილი: **ee; i; y; ey; uy**.

ა) **Ee** ინგლისურ ენაში იკითხება როგორც გრძელი **ი** [i:] (მაგ.: tree [tri:]). ეს კითხვის წესიც ხმოვანთა დიდ გადაწვევას უკავშირდება, როდესაც საშუალო ინგლისური პერიოდის გრძელი **ე**-ს [e:] წაკითხვა ახალ ინგლისურ პერიოდში შეიცვალა და გადავიდა გრძელ **ი**-ში [i:]. მაგ.: Peeree – პირი;

ბ) ქართული ხმოვანი **ი**-ს ტრანსლიტერაცია ასო **i**-ს მეშვეობით, ასევე ინგლისური მართლწერის წესით აიხსნება. კერძოდ, დახურულ მარცვალში **i** იკითხება როგორც მოკლე **ი** [ɪ] (მაგ.: bit [bit]).

მაგ.: Kinnooly – ყინული;

გ) ზემოთ მოყვანილ მაგალითში (Kinnooly – ყინული) კარგად ჩანს ქართული ხმოვანი **ი**-ს ინგლისურად გადატანის მესამე წესი – **y**. **Y** ქართული **ი**-ს მნიშვნელობით ძირითადად გვხვდება სიტყვის ბოლოს. სიტყვის ბოლოს **i**-ის ნაცვლად **y**-ის გამოყენებას საინტერესო ახსნა აქვს ინგლისური

ენის ისტორიიდან. ეს წესი საშუალო ინგლისურ პერიოდში ჩამოყალიბდა და უკავშირდება ძვირადღირებულ პერგამენტზე წერის ტექნიკას. ადგილის დაზოგვის მიზნით, ხელნაწერზე მუშაობისას, გადამწერები სიტყვებს მიჯრით წერდნენ, სიტყვის ბოლოს კი *y*-ს გამოყენება *i*-ს ნაცვლად მიუთითებდა სიტყვის დასასრულს (Расторгуева 2003).

მაგ: Kmary – ქმარი; Tvaly – თვალი;

დ) **ey** კომპლექსის გამოყენება ქართული **ი**-ს გადმოსაცემად, სავარაუდოდ, *money*, *trolley* ტიპის სიტყვების დაწერილობას უკავშირდება. ასეთი შემთხვევა ლექსიკონში მხოლოდ ერთია;

ე) ცოტა გაუგებარია ქართული **ი**-ს გადმოცემა ბგერათა კომპლექსით **uy**. **Uy** კომპლექსი ქართული ხმოვანი **ი**-ს მნიშვნელობით სულ ორჯერაა გამოყენებული და ვერ აიხსნება ინგლისური ენის მართლწერის წესებით.

4. ქართული ხმოვანი **ი**-ს მსგავსად, მრავალფეროვანია ხმოვანი **ე**-ს ინგლისურად გადატანის წესები: **e; ay; ey; y; ai**.

ა) როგორც მასალის კვლევამ გამოავლინა, ყველაზე ხშირად ქართული, მეგრული და სვანური ხმოვანი **ე**-ს გადმოსაცემად გამოყენებულია ინგლისური ასო **e**, რაც შეესაბამება ინგლისური მართლწერის წესს. ინგლისური ასო **e** დახურულ მარცვალში აღნიშნავს წინა რიგის ხმოვან **ე**-ს [e] (მაგ.: *red*, *bed*);

ბ) ქართული **ე**-ს გადმოსაცემად სამივე ქართველურ ენაში საკმაოდ ხშირად გამოიყენება ინგლისური ბგერათა კომპლექსი ხმოვან **ე**-ს, უპირატესად, სიტყვის ბოლოს აღნიშნავს. მაგ.: Sakhay – სახე; Khay – ხე; Gamey – ღამე;

გ) რაც შეეხება ქართული ხმოვნის **ე** ინგლისურად გადატანას **y**-თ ან **ai**-თ, ასეთი შემთხვევა იშვიათია ლექსიკონში და აუხსნელია ინგლისური მართლწერის წესებიდან გამომდინარე.

5. ქართული უკანა რიგის ხმოვანი **ო**-ს ინგლისურად ტრანსლიტერაციისათვის გამოყენებულია ინგლისური ასო **o**, რაც ასევე სრულად შეესატყვისება ინგლისური მართლწერის წესს. ინგლისური ხმოვანი **o** დახურულ მარცვალში იკითხება, როგორც მოკლე **o** [ɒ] (მაგ.: hot [hɒt], cot [kɒt], pot[pɒt]).

## II თანხმოვნები

1. ჯ. ელისის ლექსიკონში საკმაოდ თანმიმდევრულია სონორების ტრანსლიტერაციის საკითხი: ქართული **ლ, მ, ნ, რ** თანმიმდევრულადაა გადატანილი ინგლისურად შესაბამისი თანხმოვნებით **l, m, n, r**.

2. ახალ ინგლისურში ასო **j** აღნიშნავდა სპირანტ **s**-ს. ვინაიდან ეს ასო თანამედროვე ინგლისურში აღარ გამოიყენება, ჩვენ იგი ჩავანაცვლეთ **s**-თ ლექსიკონის გაციფრებულ ვერსიაში, რათა გაგვეადვილებინა ლექსიკონის აღქმა თანამედროვე მკითხველისთვის. ლექსიკონში აღრეულია სპირანტების წყვილული **ს** და **შ**. ტრანსლიტერირებულ სიტყვებში ორივეს აღსანიშნად გამოყენებულია როგორც **s**, ისე **z**.

მაგ.: Seesmaree – სიზმარი; Seeskhly – სისხლი.

3. ინგლისური ყრუ ხშული **t** გადმოსცემს როგორც ქართულ ფშვინვიერ **თ**-ს, ისე გლოტალურ **ტ**-ს. ეს წესი განპირობებულია იმით, რომ რუსულ ენაში არ არის ასო **თ**, შესაბამისად, რუსულ წყაროში **т** და **т** ერთნაირად აღინიშნა, რაც უცვლელად გადავიდა



ინგლისურ ლექსიკონში. ამიტომ ელისის ლექსიკონში ორივე ქართული თანხმოვანი ასო **t**-თაა გადმოცემული. მაგ.: Tkeeveely – ტკივილი; Tovlee – თოვლი.

4. იგივე მიზეზით აიხსნება ქართული თანხმოვნების **ქ**-სა და **კ**-ს ერთნაირი ტრანსლიტერაციის წესი. ამ თანხმოვნების ინგლისურად გადასატანად გამოყენებულია ორი ინგლისური თანხმოვანი: **k** და **c**. **C**-ს ინგლისურში აქვს ორგვარი ნაკითხვა: თუ მას მოსდევს უკანა რიგის ხმოვანი, იკითხება როგორც ყრუ ხშული ბგერა [k] (მაგ.: car [kɑ:]), ხოლო თუ წინა რიგის ხმოვანი, ამ შემთხვევაში ის წარმოითქმის, როგორც სპირანტი [s] (მაგ.: ice [aɪs]).

5. ქართული სპირანტი **ვ**-ს გადმოსაცემად ჰ. ელისი იყენებს შემდეგ ინგლისურ თანხმოვნებს: **v; u; w; b**.

ა) საინტერესოა ქართული **ვ**-ს ტრანსლიტერაცია ინგლისური ხმოვანი **u**-ს მეშვეობით. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში გარკვეული როლი ითამაშა იმან, რომ თავად ინგლისურ ენაში იყო აღრეული ეს ორი ბგერა, თანხმოვანი **v** და ხმოვნი **u** თითქმის XVII საუკუნემდე. ეს შეცდომა მხოლოდ XVII საუკუნეში დარეგულირდა ორთოგრაფიული ნორმით (Пасторгуева 2003);

ბ) ლექსიკონში აღრეულია ქართული თანხმოვნები **ბ** და **ვ**. ამას ადასტურებს ის, რომ ლექსიკონში რამდენიმე სიტყვაში ქართული **ბ** ტრანსლიტერირებულია **v**-თი, ხოლო ქართული **ვ** ინგლისურად გადატანილია ინგლისური მჟღერი ხშულის **b**-ს მეშვეობით.

6. ქართული ფშვინვიერი თანხმოვანი **ფ** ტრანსლიტერირებულია ინგლისური თანხმოვნებით **p** და **f**, რაც ასევე რუსულ წყაროს უკავშირდება, რომელშიც ეს ბგერა არ არსებობს. ამიტომ

გაჩნდა ამ ქართული თანხმოვნის ინგლისურად გადატანის წესში სპირანტი **f**.

7. უფრო რთულია ვითარება იმ ქართული თანხმოვნების ტრანსლიტერაციის წესებში, რომლებიც უცნობია როგორც რუსული, ისე ინგლისური ენებისათვის. შესაბამისად, უკვე რუსულ წყაროში დამახინჯებული ბგერები, ინგლისურში კიდევ უფრო დაშორდნენ ქართული ბგერების ჟღერადობას. მიუხედავად ამისა უნდა ითქვას, რომ საკმაოდ კვალიფიციურადაა შედგენილი ქართული აფრიკატების ტრანსლიტერაციის წესები, მაგ.: **ც - ts; ძ - dz; ჩ - tch; ჩხ;** იგივე შეიძლება ითქვას ქართული სპირანტების **ღ**-სა და **ბ**-ს ინგლისურად გადატანის წესებზე: **ღ - gh, ბ - kh**. თუმცა ეს წესები არ არის თანმიმდევრულად გატარებული ლექსიკონში და ეს თანხმოვნები სხვა ბგერათა კომპლექსებითაც გადმოიცემა (იხ. ქვემოთ ტრანსლიტერაციის წესების ცხრილი).

8. ლექსიკონში აღრეულია ქართულ თანხმოვანთა სამეული **ძ, ც, ნ**, ასევე **ჩ** და **ჭ** ასოები, რომლებიც, ხშირად, ერთი და იმავე თანხმოვანთა კომპლექსითაა ტრანსლიტერირებული ინგლისურად.

9. ქართული თანხმოვანი **ყ** უცნობია როგორც ინგლისური, ასევე რუსული ენებისათვის. ამიტომ ავტორი, როგორც ჩანს, მას აიგივებს სპირანტ **ბ**-სთან და ინგლისურად გადააქვს ანალოგიურად: **კ**-სა და **kh**-ს მეშვეობით.

ქვემოთ მოცემულია ჯორჯ ელისის ლექსიკონში გამოყენებული ტრანსლიტერაციის წესები ცხრილის სახით.

ინგლისურ-ქართული ლექსიკოგრაფიის უცნობი ფურცლები

ანბანი	სახელი	ტრანსლიტერაცია
ა	ან	a
ბ	ბან	b; v
გ	გან	g; gh
დ	დონ	d
ე	ენ	e; ay; ey; (ai; y)
ვ	ვინ	v; w; u; b
ზ	ზენ	s; z
თ	თან	t
ი	ინ	i; ee; y; ey; (uy)
კ	კან	k; c
ლ	ლას	l
მ	მან	m
ნ	ნარ	n
ო	ონ	o
პ	პარ	p
ჟ	ჟან	j
რ	რაე	r

ანბანი	სახელი	ტრანსლიტერაცია
ს	სან	s; z
ტ	ტარ	t
უ	უნ	oo; u
ფ	ფარ	p; f
ქ	ქან	k; c
ღ	ღან	g; gh; (h)
ყ	ყარ	k; kh
შ	შინ	sh
ჩ	ჩინ	tch; ch; tsh
ც	ცან	ts; dts
ძ	ძილ	ts; tsz; dz
წ	წილ	ts
ჭ	ჭარ	ch, tsh
ხ	ხან	kh; gh; k; hk
ჯ	ჯან	dj
ჰ	ჰაე	h

## **თავი 2.**

# **ქართველური ენების შედარებითი ლექსიკონის ანალიზი**

ამ თავში წარმოდგენილია ჯორჯ ელისის ლექსიკონის გაციფრებული ვერსია კომენტარებით. როგორც უკვე აღინიშნა, ლექსიკონის უკეთ აღქმის მიზნით იგი დაიყო სამ ნაწილად: ინგლისურ-ქართულ, ინგლისურ-მეგრულ და ინგლისურ-სვანურ ნაწილებად. ინგლისურ-ქართულ ნაწილში მასალა დალაგებულია ოთხ სვეტად: ინგლისური სიტყვა, ინგლისურად ტრანსლიტერირებული ქართული ეკვივალენტი, ქართული ანბანით ჩანერილი ქართული ეკვივალენტი და კომენტარების სვეტი (იხ. ლექსიკონის გაციფრების პრინციპები, 1.3 თავი).

### **2.1. ლექსიკონის ინგლისურ-ქართული ნაწილი**

ქართული ენის მასალა ლექსიკონში მოხსენიებულია, როგორც დიალექტი (*Carduel Dialect*). თუმცა, გასათვალისწინებელია ის, რომ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოცემულ შედარებით ლექსიკონში, რომელიც ჯორჯ ელისის ლექსიკონის წყაროა, ქართლური დიალექტი იგულისხმება (Карталински).

ლექსიკონის ინგლისურ-ქართულ ნაწილში შესულია 129 სიტყვა, რომლებიც დალაგებულია თემატურად და არა ანბანურ რიგზე. ლექსიკონის პირველი სიტყვებია: ღმერთი და ზეცა, შემდეგ კი მათ მოსდევს ადამიანისა და ნათესაობის აღმნიშვნელი სიტყვები (მამა, დედა, ვაჟიშვილი, ქალიშვილი, და, ძმა, ცოლი, ქმარი, ქალი, კაცი და სხვა); ადამიანის სხეულის ნაწილებისა და სახის ნაკვთების აღმნიშვნელი სიტყვები (თავი, ტანი, ფეხები, მუცელი, სახე, ცხვირი, თვალი, წარბი, ყური, შუბლი, ლოყები, პირი და სხვა); ბუნებრივი

მოვლენების აღმნიშვნელი სიტყვები (ქარი, ქარიშხალი, წვიმა, სეტყვა, ელვა, თოვლი, ყინული); წელიწადის დროები (გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი); დროის მონაკვეთის აღმნიშვნელი სიტყვები (დღე, ღამე, დილა, საღამო, წელი, დრო); ციური სხეულები (მზე, მთვარე, ვარსკვლავი); გარემომცველი გეოგრაფიული გარემოს აღმნიშვნელი სიტყვები (ხე, მთა, მიწა, მდინარე, ზღვა, ბორცვი, ნაპირი და სხვა); გრძნობა-აღქმის აღმნიშვნელი სიტყვები (მხედველობა, ყნოსვა, გაგონება, შეხება, გრძნობა, ტკივილი, სიყვარული) და სხვა. ჯ. ელისის ლექსიკონი, მასალის განლაგების პრინციპითაც, რუსულ წყაროს მისდევს. სწორედ ამგვარადაა დალაგებული სიტყვები პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოცემულ შედარებით ლექსიკონში. ეს თემატური ჯგუფები ძირითადად ემთხვევა ენათა შედარებისათვის და მათი გენეზისური კავშირის დადგენისათვის შედგენილ სიტყვათა სიებს (მაგ. გოტფრიდ ლაიბნიცისა) და ამგვარი შედარებითი ლექსიკონების შექმნაც სწორედ ენათა ნათესაობის ფაქტის დადგენას ემსახურებოდა.

როგორც აღინიშნა, ელისის კავკასიური ენების შედარებითი ლექსიკონის ყველაზე კვალიფიციურად შედგენილი ნაწილი ქართული ლექსიკონია. როგორც პროფესორი ნიკო ყიასაშვილი შენიშნავს მის ზემოხსენებულ სტატიაში, ქართული მასალის ანალიზი ნათლად აჩვენებს, თუ როგორი სიზუსტითაა გადატანილი ინგლისურ ენაზე საკმაოდ რთული ქართული სიტყვები. მაგ.: Nails – Prchkheelbby (ფრჩხილები), Fire – Tsetskhlee (ცეცხლი), Marriage – Kortseeneba (ქორწინება), Evening – Mtsookhry (მწუხრი), Summer – Zapkhooly (ზაფხული) და სხვა. იმ სიტყვებშიც კი, სადაც ტრანსლიტერაციის შეცდომებია, ხშირად შეცდომა მხოლოდ ერთ ასოს შეხება. მაგ.: **Gogonebba** – გაგონება (**o > a**); **Gbeely** – კბილი (**G > K**); **Knossa** – ყნოსვა (**s > v**) და სხვა. სიტყვების ტრანსლიტერაციის ყველა შეცდომა რუსულ წყაროს უკავშირდება და რუსული წყაროდანაა შეცდომით გადმოტანილი ელისის ლექსიკონში.

თავი 2. ქართველური ენების შედარებითი ლექსიკონის ანალიზი

№	ინგლისური	ინგლისურად ტრანსლიტე- რირებული ქართული ეკვივალენტი	ქართული ეკვივალენტი	კომენტარი
1.	God	Gmerty	ღმერთი	
2.	Heaven	Tsah	ცა	
3.	Father	Mamma	მამა	
4.	Mother	Dedda	დედა	
5.	Son	Shyilly	შვილი [ვაჟიშვილი]	[ქართული სიტყვა არასწორადაა ტრანსლიტერირებული, ყ-ს ნაცვლად უნდა იყოს <b>ქეგლი</b> – ადამიანის შვილი მამრობითი სქესისა – ძე, ვაჟი]
6.	Daughter	Kaly	ქალი [ქალიშვილი]	[ქეგლი – 1. ადამიანის შვილი მდედრობითი სქესისა, ასული]
7.	Brother	Tsmah	ძმა	
8.	Sister	Da	და	
9.	Husband	Kmary	ქმარი	
10.	Wife	Tsoly	ცოლი	
11.	Girl [a young woman]	Kally	ქალი	
12.	Boy	Bidjaoo	ბიჭი	[ქართული სიტყვა არასწორადაა ტრანსლიტერირებული]
13.	Child	Kmatsvilly, Tsvilly, Krmah	ყმაწვილი, ჩვილი, ყრმა	[მეორე ქართული სიტყვა არასწორადაა ტრანსლიტერირებული]

ინგლისურ-ქართული ლექსიკოგრაფიის უცნობი ფურცლები

№	ინგლისური	ინგლისურად ტრანსლიტე- რირებული ქართული ეკვივალენტი	ქართული ეკვივალენტი	კომენტარი
14.	Man	Kadtsy	კაცი	
15.	People	Khalkhee, Erny, <b>Catsuy</b>	ხალხი, ერნი, კაცი	[მესამე სიტყვა არასწო- რადაა ტრანსლიტერი- რებული]
16.	Head	Tavee, <b>Kavee</b>	თავი, ?????	[პირველი სიტყვა სწორადაა ტრანსლიტე- რირებული, ხოლო მეორე სიტყვის მნიშვნელობა გაუგებარია]
17.	Face	<b>Peerassa</b> , Sakhay, Peeris-sakhay	სახე, პირისახე	[პირველი სიტყვა არასწორადაა ტრანსლიტერირებული]
18.	Nose	Tskhveery	ცხვირი	
19.	Nostril	Nesto, <b>Nestvy</b>	ნესტო, <b>ნესტვი</b>	[მეორე სიტყვა ნესტვი არ შეესაბამება მოცემულ ინგლისურ სიტყვას. ქეგლი – ნესტვი: ძვ. ყოველგვარი ჩასახერი საკრავი]
20.	Eye	Twaly, Tvaly	თვალი	[ტრანსლიტერაციაში ვ-ს აღსანიშნად გამოყენებულია ორი ვარიანტი: <b>w</b> და <b>v</b> ]
21.	Eyebrow	Tsarby	წარბი	
22.	Eyelashes	<b>Khaltay</b> , <b>Erkta</b>	?????	[ტრანსლიტერირებული სიტყვები გაუგებარია, უნდა იყოს <b>წამწამები</b> ]
23.	Ear	Koory	ყური	

თავი 2. ქართველური ენების შედარებითი ლექსიკონის ანალიზი

№	ინგლისური	ინგლისურად ტრანსლიტე- რირებული ქართული ეკვივალენტი	ქართული ეკვივალენტი	კომენტარი
24.	Forehead	Shoobly	შუბლი	
25.	Hair	Tma	თმა	
26.	Cheeks	Loka, <b>Koba</b>	ლოყა, ?????	[მეორე სიტყვის მნიშვნელობა გაუგებარია, შესაძლოა იგულისხმებოდეს ყბა]
27.	Mouth	Peeree	პირი	
28.	Throat	<b>Kharkhranto,</b> <b>Tkelly</b>	ყანყრატო, ყელი	[ორივე შემთხვევაში სიტყვები არასწორადაა ტრანსლიტერირებული. <b>ყანყრატო</b> არ არის ყელის ზუსტი შესატყვისი, იგი მომველებული სიტყვაა და აღნიშნავს შემდეგს: ქეგლი – ყანყრატო – სასუნთქავი მილი]
29.	Teeth	Kbeely, <b>Gbeely</b>	კბილი	[ინგლისური მრავლო- ბითი რიცხვის ფორმა ქართულად მხოლო- ბითი რიცხვით არის თარგმნილი. არასწორა- დაა ტრანსლიტერი- რებული მეორე სიტყვა]
30.	Tongue	Aina	ენა	
31.	Beard	Tswerry, Tsverry	წვერი	
32.	Neck	Kisserry, Kaily	კისერი, ყელი	
33.	Shoulder	<b>Pkary</b> , Mkhary	მხარი	[პირველ შემთხვევაში სიტყვა არასწორადაა ტრანსლიტერირებული]



ინგლისურ-ქართული ლექსიკოგრაფიის უცნობი ფურცლები

№	ინგლისური	ინგლისურად ტრანსლიტერირებული ქართული ეკვივალენტი	ქართული ეკვივალენტი	კომენტარი
34.	Elbow	Dakvy, Tskrtah	იდაყვი, წყრთა	[Dakvy – შეცდომითაა ტრანსლიტერირებული. წყრთა მოძველებული სიტყვაა, რომელიც თანამედროვე ქართულ ენაში აღარ იხმარება. ქეგლი – წყრთა: ხელის ნაწილი იდაყვიდან თითების წვერებამდე]
35.	Hand	Kehelly, Khelly	ხელი	[პირველი სიტყვა არასწორადაა ტრანსლიტერირებული]
36.	Fingers	Teetee, Teetebee, Titnee	თითი, თითები, თითნი	[თარგმანში მითითებულია როგორც მხოლოდ თითი, ისე მრავლობითი რიცხვის ფორმები]
37.	Nails	Fchinly, Pehkhelly, Prchkheelebby	ფრჩხილები	[პირველი და მეორე სიტყვები შეცდომითაა ტრანსლიტერირებული]
38.	Belly	Mootselly	მუცელი	
39.	Back	Zoorghy	ზურგი	
40.	Foot	Fayghee, Paykhee, Pekky	ფეხი	[სამივე შემთხვევაში გამოყენებულია ტრანსლიტერაციის სხვადასხვა ვარიანტი. ფ-ს აღსანიშნად გამოყენებულია f და p, ხოლო ხ-ს გადმოსაცემად – gh; kh; kk]
41.	Knee	Mookly, Moohkly	მუხლი	

თავი 2. ქართველური ენების შედარებითი ლექსიკონის ანალიზი

№	ინგლისური	ინგლისურად ტრანსლიტე- რირებული ქართული ეკვივალენტი	ქართული ეკვივალენტი	კომენტარი
42.	Skin	Tkhavee	ტყავი	
43.	Flesh	Khortsy, <b>Kartsy</b>	ხორცი	[მეორე სიტყვა შეცდო- მითაა ტრანსლიტერირე- ბული]
44.	Bone	Tswally, Tszvally	ძვალი	[ძ-ს აღსანიშნად გამოყენებულია ორი ვარიანტი: <b>ts; tsz</b> ]
45.	Blood	Seeskhly	სისხლი	
46.	Heart	Goolee	გული	
47.	Milk	Rtseh, Rdzay	რძე	[ამ შემთხვევაშიც ძ-ს გადმოსაცემად გამოყენებულია ორი ვარიანტი: <b>ts; dz</b> ]
48.	Hearing	<b>Gogonebba</b> , Sasmenelee	გაგონება სასმენელი	[პირველ შემთხვევაში სი- ტყვა არასწორადაა ტრანს- ლიტერირებული, მეორე სიტყვა – <b>სასმენელი</b> მოძ- ველებულია. ქეგლი – სასმენელი: 1. იგივეა, რაც სასმენი; 2. ძვ. იგივეა, რაც ყური]
49.	Sight	<b>Kebvelaba</b> , Kedva	მხედველობა, ხედვა	[პირველი სიტყვა არა- სწორადაა ტრანსლიტე- რირებული]
50.	Taste	Ghemovneba, Ghemo	გემოვნება, გემო	
51.	Smelling	<b>Knossa</b> , <b>Knoseba</b>	ყნოსვა	[ორივე სიტყვა არასწორადაა ტრანსლიტერირებული]

ინგლისურ-ქართული ლექსიკოგრაფიის უცნობი ფურცლები

№	ინგლისური	ინგლისურად ტრანსლიტე- რირებული ქართული ეკვივალენტი	ქართული ეკვივალენტი	კომენტარი
52.	Feeling [the sense of touch: percep- tion of objects by touch]	Shehkeba, Gankheelba, Goorzeenova	შეხება, განხილვა, გრძნობა	[მეორე სიტყვა შეცდომაა, რადგან feeling არ ნიშნავს განხილვას, მესამე სიტ- ყვა კი არასწორადაა ტრანსლიტერირებული]
53.	Voice	Khmah	ხმა	
54.	Name	Sakhely	სახელი	
55.	Cry	Kveereely, Dsahkely	ყვირილი, მახილი	[მეორე სიტყვა არასწორა- დაა ტრანსლიტერირე- ბული]
56.	Noise	Kakanee, Grgveenba, Tchkoobee	ყაყანი, გრგვინვა, ჩხუბი	
57.	Clamour [to make a loud con- tinuous outcry]	Teerelee, godeva, Tkebba	ტირილი, გოდება, ტყება	[პირველი სიტყვა არა- სწორადაა ტრანსლიტე- რირებული. ტყება მოძველებული სიტყვაა, რომელიც თანა- მედროვე ქართულ ენაში აღარ გამოიყენება. ქეგლი – ტყება: ძვ. თავში ცემა (ხელისა)]
58.	Word	Saubaree, Seetkhva	საუბარი, სიტყვა	
59.	Sleep	Dzeely, Seesmaree	ძილი, სიზმარი	

თავი 2. ქართველური ენების შედარებითი ლექსიკონის ანალიზი

№	ინგლისური	ინგლისურად ტრანსლიტერირებული ქართული ეკვივალენტი	ქართული ეკვივალენტი	კომენტარი
60.	Love	Seekvarobly, Ookvar	სიყვარული, უყვარს	[პირველი სიტყვა შეცდომითაა ტრანსლიტერირებული, მეორე შემთხვევაში კი გვაქვს ზმნის პირიანი ფორმა – უყვარ, რომელსაც აკლია პირის ნიშანი]
61.	Pain	Tkееveely, Salmoba	ტკივილი, სალმობა	[სალმობა მოძველებული სიტყვაა, რომელიც თანამედროვე ქართულ ენაში აღარ გამოიყენება. ქეგლი – სალმობა: ძვ. სატკივარი, ავადმყოფობა]
62.	Toil	Gartcheelova, Shroma, Sardjelee	გარჯილობა, შრომა, სარჯელი	[პირველი სიტყვა არასწორადაა ტრანსლიტერირებული. ქეგლი – გარჯილობა: იგივეა რაც გარჯა. სარჯელი შეცდომაა, მისი მნიშვნელობაა „სასჯელი“]
63.	Work	Mooshakova, Mooshaova	მუშაკობა, მუშაობა	[მუშაკობა მოძველებული ფორმაა, რომელიც თანამედროვე ქართულ ენაში აღარ გამოიყენება. ქეგლი – მუშაკობა: ძვ. სახელი მუშაკობს ზმნის მოქმედებისა, მუშაკის თვისება; მუშაკის საქმიანობა; შრომა, მუშაობა]

ინგლისურ-ქართული ლექსიკოგრაფიის უცნობი ფურცლები

№	ინგლისური	ინგლისურად ტრანსლიტე- რირებული ქართული ეკვივალენტი	ქართული ეკვივალენტი	კომენტარი
64.	Force	Tsalee, Gonay	ძალი, ღონე	[ქეგლი – ძალი: იგივეა, რაც ძალა]
65.	Power	Dzalee, Goneh	ძალი, ღონე	
66.	Authority	Cheelova, Che- dleba, Khelmt- seepaiba	?????, შეძლება, ხელმწიფება	[პირველი და მეორე სიტყვა სავარაუდოდ ნიშნავს შეძლებას და არასწორადაა ტრანსლიტერირებული]
67.	Marriage	Shayooblebba, Kortseeneba	შეუღლება, ქორწინება	
68.	Life	Tsuytsotshkley, Tskhovraba	სიცოცხლე, ცხოვრება	[ორივე სიტყვა არასწორადაა ტრანსლიტერირებული]
69.	Stature	Taneesegzdee- lova, Tanee, Agzda, Hazda	?????, ტანი, აღზდა, ?????	[პირველი სიტყვის მნიშ- ვნელობა გაუგებარია, შესაძლოა ნიშნავდეს: ტანისგრძელობა. მესამე სიტყვა აღზრდა არასწორი ეკვივალენტია. სავარაუდოდ აღზრდას ნიშნავს მეოთხე სიტყვაც, რომელიც არასწორადაა ტრანსლიტერირებული]
70.	Spirit	Soolee	სული	
71.	Death	Sikvdeela, Stschoolee	სიკვდილი	[პირველი სიტყვა არასწორადაა ტრანსლიტერირებული, მეორე სიტყვის მნიშვნელობა გაუგებარია]

თავი 2. ქართველური ენების შედარებითი ლექსიკონის ანალიზი

№	ინგლისური	ინგლისურად ტრანსლიტე- რირებული ქართული ეკვივალენტი	ქართული ეკვივალენტი	კომენტარი
72.	Cold	Tseetsyeh, Seetskheh, Seetseeveh	?????, სიცხე, სიცივე	[პირველი სიტყვა არასწორადაა ტრანსლიტერირებული, მეორე სიტყვა „სიცივე“ – შეცდომაა]
73.	Circle	Mgoorgaly, Mergva-leatsre, Symgrgvleh	?????, ?????, სიმრგვალე	[პირველი და მეორე სიტყვების მნიშვნელობა გაუგებარია. მესამე სიტყვა კი არასწორადაა ტრანსლიტერირებული]
74.	Globe [a round body]	Boorshy, Mgoorbaly	ბურცი, ?????	[პირველი სიტყვა არასწორადაა ტრანსლიტერირებული, სავარაუდოდ იგულისხმება „ბურცი“. ქეგლი – ბურცი: ბუმტივით ამობერილი რამ; მეორე სიტყვის მნიშვნელობა გაუგებარია]
75.	Sun	Mzeh	მზე	
76.	Moon	Mtwary, Mtvary	მთვარე	
77.	Star	Maskulavy, Varseelavy	ვარსკვლავი	[ორივე სიტყვა არასწორადაა ტრანსლიტერირებული]
78.	Ray	Shooshee, Skeevvee, Sharavandee	შუქი, სხივი, შარავანდი	[პირველი სიტყვა არასწორადაა ტრანსლიტერირებული, სავარაუდოდ უნდა იყოს „შუქი“. ქეგლი – შარავანდი: სხივი, შუქი, ბრწყინვალეობა]

ინგლისურ-ქართული ლექსიკოგრაფიის უცნობი ფურცლები

№	ინგლისური	ინგლისურად ტრანსლიტე- რირებული ქართული ეკვივალენტი	ქართული ეკვივალენტი	კომენტარი
79.	Wind	Nyahvee, Karee, Kwheeree	ნიავი, ქარი, ?????	[მესამე სიტყვის მნიშვნელობა გაუგებარია]
80.	Storm	Bookee, Brtselgelba, Neeslee	ბუქი, ?????, წისლი	[მეორე სიტყვის მნიშვნელობა გაუგებარია. მესამე სიტყვა არ არის ინგლისური სიტყვის შესატყვისი. ქეგლი – ბუქი: ჰაერში ატანილი თოვლი ან მტვერი (ქარისაგან, მოძრაობისაგან...), კორიანტელი]
81.	Rain	Tsuyama, Tsveema	წვიმა	
82.	Hail	Setkva	სეტყვა	
83.	Lightning	Elva, Elvareba	ელვა, ელვარება	
84.	Snow	Tovlee	თოვლი	
85.	Ice	Kinnooly, Keenoobly	ყინული	[მეორე სიტყვა არასწორადაა ტრანსლიტერირებული]
86.	Day	Dgheh	დღე	
87.	Night	Gam, Gamey	ღამე	[პირველი სიტყვა არასრულადაა ტრანსლიტერირებული]
88.	Morning	Deela	დილა	
89.	Evening	Sagamo, Mtsookhry	სალამო, მწუხრი	[ქეგლი – მწუხრი: ძვ. სალამოს ბინდი, შეღამება, შებინდება]

თავი 2. ქართველური ენების შედარებითი ლექსიკონის ანალიზი

№	ინგლისური	ინგლისურად ტრანსლიტე- რირებული ქართული ეკვივალენტი	ქართული ეკვივალენტი	კომენტარი
90.	Summer	Zapkhooly, Tselniee	ზაფხული, წელი	[მეორე სიტყვა არ შეესატყვისება მოცემულ ინგლისურ სიტყვას]
91.	Spring	Gazapooly	გაზაფხული	[სიტყვა არასწორადაა ტრანსლიტერირებული]
92.	Autumn	Shamodgoma	შემოდგომა	[სიტყვა არასწორადაა ტრანსლიტერირებული]
93.	Winter	Zamtary	ზამთარი	
94.	Year	Ttseleetsadee	წელიწადი	
95.	Time	Dro, Jamee	დრო, ჟამი	[ქველი – ჟამი: ძვ. დრო, ხანი]
96.	Earth	Meetsa	მიწა	
97.	Water	Tskaly, Tskhaly	წყალი	
98.	Sea	Zgvebby, Zgva	ზღვა	[პირველი სიტყვა მრავლობითი რიცხვის ფორმითაა მოყვანილი]
99.	River	Bdeenary, Mdeenary	მდინარე	[პირველი სიტყვა არასწორადაა ტრანსლიტერირებული]
100.	Waves	Ghelva, Ghelvany	ღელვა	
101.	Sand	Khoomy, Kveesha	?????, კვიშა	[პირველი სიტყვის მნიშვნელობა გაურკ- ვეელია]
102.	Clay	Teekhah, Talakhee	თიხა, ტალახი	[ტალახი არაზუსტი ეკვივალენტი]
103.	Dust	Mstverry	მტვერი	[სიტყვა არასწორადაა ტრანსლიტერირებული]



ინგლისურ-ქართული ლექსიკოგრაფიის უცნობი ფურცლები

№	ინგლისური	ინგლისურად ტრანსლიტერირებული ქართული ეკვივალენტი	ქართული ეკვივალენტი	კომენტარი
104.	Dirt	Lapee, Talakhee	ლაფი, ტალახი	
105.	Mountain	Keeldeh, Mtah	კლდე, მთა	[პირველი სიტყვა არასწორადაა ტრანსლიტერირებული. კლდე არ არის ინგლისური სიტყვის ზუსტი ეკვივალენტი]
106.	Coast	Tskleesnapeery, Napeera, Plato	წყლისნაპირი, ნაპირა, პლატო	[ნაპირა არაზუსტი თარგმანია; ქეგლი – ნაპირა: იგივეა, რაც განაპირა; პლატო არ არის ინგლისური სიტყვის შესატყვისი; შესაძლოა იგულისხმებოდეს ფლატე: მდინარის, ხევის ჩანგრეული ნაპირი]
107.	Hill	Sevvee, Bortsvee	?????, ბორცვი	[პირველი სიტყვის მნიშვნელობა გაუგებარია; სავარაუდოდ უნდა იყოს სერი]
108.	Valley	Vakeh, Baree, Velly	ვაკე, ბარი, ველი	
109.	Air	Atchry, Hahery	?????, ჰაერი	[პირველი სიტყვის მნიშვნელობა გაუგებარია; მეორე სიტყვა არასწორადაა ტრანსლიტერირებული]
110.	Vapour	Ortkly, Ortkhly	ორთქლი	[მეორე სიტყვა შეცდომითაა ტრანსლიტერირებული]

თავი 2. ქართველური ენების შედარებითი ლექსიკონის ანალიზი

№	ინგლისური	ინგლისურად ტრანსლიტე- რირებული ქართული ეკვივალენტი	ქართული ეკვივალენტი	კომენტარი
111.	Fire	Tsetskhlee	ცეცხლი	
112.	Heat	Nakvertskhaly	ნაკვერცხალი	[ქართული შესატყვისი არ არის ზუსტი; ქეგლი – ნაკვერცხალი: იგივეა, რაც ნაკვერცხალი – გავარჯარებული ნახშირი]
113.	Depth	Seegrney	სიღრმე	
114.	Height	Seemagle	სიმაღლე	
115.	Breadth	Seeganyerry	სიგანე	[ქართული სიტყვა არასწორადაა ტრანსლიტერირებული, შესაძლოა იგულისხმებოდეს სიგანიერე]
116.	Lenght	Seegrtseh, Seegsay	სიგრძე	[მეორე სიტყვა არასწორადაა ტრანსლიტერირებული]
117.	Hole	Nakvrety	ნახვრეტი	
118.	Pit	Ormo	ორმო	
119.	Ditch	Ruby, Tkhrebly	?????, მთხრებლი	[სიტყვები არასწორადაა ტრანსლიტერირებული; მთხრებლი: ძვ. ორმო]
120.	Stone	Kva	ქვა	
121.	Gold	Okro	ოქრო	
122.	Silver	Bertskhlee	ვერცხლი	

ინგლისურ-ქართული ლექსიკოგრაფიის უცნობი ფურცლები

№	ინგლისური	ინგლისურად ტრანსლიტე- რირებული ქართული ეკვივალენტი	ქართული ეკვივალენტი	კომენტარი
123.	Salt	Mareely	მარილი	
124.	Miracle	Sakoorvely	საკურველი	[ქეგლი – საკურველი: ძვ. იხ. საკვირველი]
125.	Forest	Tkeh, Tkheh, Tenkeh	ტყე	[მესამე სიტყვა არასწორადაა ტრანსლიტერირებული]
126.	Grass	Balakhee, Teeva	ბალახი, თივა	
127.	Tree	Tkhertkey, Khay	?????, ხე	[პირველი სიტყვის მნიშვნელობა გაურკვეველია]
128.	Pole	Palo, Margheely	პალო, მარგილი	[ქეგლი – პალო: მოკლე და მსხვილი ჯოხი, რომელსაც ბოლო წაწვეტებული აქვს მიწაში ჩასარჭობად. ქეგლი – მარგილი: თავწათლილი სარი; ხმარობენ ძეძვის ღობის გასაკეთებლად]
129.	Verdure	Mtsvaneely, Tsvanveely	მწვანილი	[მეორე სიტყვა არასწორადაა ტრანსლიტერირებული. ქართული ეკვივალენტი არ შეესატყვისება ინგლისურ სიტყვას; სწორი შესატყვისია მცენარეულობა]

## 2.2. ლექსიკონის ინგლისურ-მეგრული ნაწილი

ჯორჯ ელისის შედარებითი ლექსიკონის ინგლისურ-მეგრული ნაწილი მხოლოდ 61 სიტყვას მოიცავს. მეგრული ენა ლექსიკონში მოხსენიებულია, როგორც იმერული დიალექტი, რაც ასევე რუსული წყაროდანაა შეცდომით გადმოტანილი. ლექსიკონში მხოლოდ 61 სიტყვაა, ამდენივე სიტყვაა რუსულ წყაროშიც. უნდა აღინიშნოს, რომ პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოცემულ შედარებით ლექსიკონში ბევრი სიტყვა აკლია სხვა ენებისა და დიალექტების მასალასაც, არა მხოლოდ მეგრული და სვანური ენების ნაწილს. მეგრულ ნაწილში, ისევე როგორც ინგლისურ-ქართულ ნაწილში, არის საკმაოდ კვალიფიციურად ტრანსლიტერირებული სიტყვები. ტრანსლიტერაციის ყველა შეცდომა რუსულ წყაროს უკავშირდება.

№	ინგლისური	ინგლისურად ტრანსლიტერირებული მეგრული ეკვივალენტი	მეგრული ეკვივალენტი	კომენტარი
1.	God (ღმერთი)	<b>Horomti</b>	ღორონთი	[სიტყვა არასწორადაა ტრანსლიტერირებული]
2.	Heaven (ცა)	<b>Tsash</b>	ცა	[ტრანსლიტერაციაში უზუსტობაა, სიტყვის ბოლოს <b>sh</b> ზედმეტია]
3.	Father (მამა)	Mooma	მუმა	
4.	Mother (დედა)	Deeda	დიდა	
5.	Son (ვაჟი-შვილი)	Skooa	სკუა [შვილი, ვაჟიშვილი]	[ვაჟიშვილი არის ასევე ქომოლსკუა]

ინგლისურ-ქართული ლექსიკოგრაფიის უცნობი ფურცლები

№	ინგლისური	ინგლისურად ტრანსლი- ტერირებული მეგრული ეკვივალენტი	მეგრული ეკვივალენტი	კომენტარი
6.	Daughter (ქალიშვილი)	Ozoory	ოსური	[არაზუსტი თარგმანია, <b>ოსური</b> ნიშნავს ქალს, ცოლს, ინგლისური სიტყვის უფრო ზუსტი შესატყვისი იქნებოდა <b>სქუა</b> ან <b>ოსურსქუა</b> , რაც ნიშნავს ქალიშვილს]
7.	Brother (ძმა)	Djeema	ჯიმა	
8.	Sister (და)	Datchkym	დაჩქიმ	[სიტყვა სწორადაა ტრანსლიტერირებული და იკითხება როგორც <b>დაჩქიმი</b> ანუ <b>ჩემი და</b> , დაახლოებით, როგორც ქართულშია „ბიძაჩემი“. ლაზურსა და ძველ მეგრულს ახასიათებს ასეთი ფორმები]
9.	Husband (ქმარი)	<b>Komodjy</b>	ქომონჯი	[ტრანსლიტერაციაში მცირე უზუსტობაა, სიტყვაში გამოტოვებულია თანხმოვანი – <b>n</b> ]
10.	Wife (ცოლი)	Cheely	ჩილი	[სიტყვა სწორადაა ტრანსლიტერირებული, ინგლისური სიტყვის ზუსტი შესატყვისია აგრეთვე <b>ოსური</b> ]
11.	Girl (გოგო)	Ozoory	ოსური	[არაზუსტი თარგმანია, <b>ოსური</b> უფრო მოწიფული ქალია ვიდრე გოგო, გოგონა. ინგლისური სიტყვის უფრო ზუსტი შესატყვისია <b>ძღაბი</b> ან <b>ცირა</b> ]

თავი 2. ქართველური ენების შედარებითი ლექსიკონის ანალიზი

№	ინგლისური	ინგლისურად ტრანსლი- ტერირებული მეგრული ეკვივალენტი	მეგრული ეკვივალენტი	კომენტარი
12.	Boy (ბიჭი)	<b>Bidjaoo</b>	?????	[ტრანსლიტერირებული სიტყვა გაუგებარია. სავარაუდოდ იგულისხმება <b>ბოში</b> , რაც ნიშნავს ბიჭს]
13.	Child (ბავშვი)	Boshy	ბოში	[ <b>ბოში</b> ნიშნავს როგორც ბიჭს, ასევე ყრმას, თუმცა ინგლისური სიტყვის უფრო ზუსტი შესატყვისია <b>ბოშბადანა</b> (ყმაწვილი) ან <b>ბადანა</b> (ბავშვი)]
14.	Man (კაცი)	<b>Kodshy</b>	კოჩი	[ტრანსლიტერაციაში უზუსტობაა, <b>dsh</b> -ის ნაცვლად უნდა იყოს <b>ჩ</b> -ს აღმნიშვნელი რომელიმე ასოთა კომპლექსი]
15.	People (ხალხი, ერი)	<b>Margalee</b>	<b>მარგალი</b>	[არასწორი თარგმანია. <b>მარგალი</b> ნიშნავს მეგრელს, გლეხს, მიწათმოქმედს. ინგლისური სიტყვის უფრო ზუსტი შესატყვისია <b>ხალხი, ერი, კოჩი</b> – სიტყვებიდან რომელიმე]
16.	Head (თავი)	Doodee	დუდი	
17.	Face (პირი, სახე)	<b>Peejeeshee</b>	პიჯი [პირი,სახე]	[ტრანსლიტერაციაში უზუსტობაა, სიტყვის ბოლოს <b>shee</b> ზედმეტია]
18.	Nose (ცხვირი)	<b>Tchkhindee</b>	ჩხვინდი	[ტრანსლიტერაციაში მცირე უზუსტობაა, სიტყვის შუაში გამოტოვებულია თანხმოვანი <b>ვ</b> ]

ინგლისურ-ქართული ლექსიკოგრაფიის უცნობი ფურცლები

№	ინგლისური	ინგლისურად ტრანსლი- ტერირებული მეგრული ეკვივალენტი	მეგრული ეკვივალენტი	კომენტარი
19.	Eye (თვალი)	Toly	თოლი	
20.	Ear (ყური)	Oodjy	ყუჯი	[მეგრულ ყრუ ბგერას – ჭ, არ შეესაბამება ინგლისური ბგერები, შესაბამისად სიტყვა სწორადაა ტრანსლიტერირებული]
21.	Forehead (შუბლი)	<b>Kooa</b>	ცვა	[სიტყვა არასწორადაა ტრანსლიტერირებული]
22.	Hair (თმა)	Toma	თომა/თუმა	
23.	Mouth (პირი)	Pidjee	პიჯი	
24.	Teeth (კბილები)	Keebeery	კიბირი	[ინგლისური სიტყვა მრავლობით რიცხვშია, მეგრული სიტყვა <b>კიბირი</b> კი ნიშნავს კბილს, შესაბამისად უნდა იყოს <b>კიბირეფი</b> (კბილები)]
25.	Tongue (ენა)	Neena	ნინა	
26.	Beard (წვერი)	Preemooly	ფრიმული	
27.	Neck (კისერი)	Kisserry	კისერი	
28.	Shoulder (მხარი)	Khoodjy	ხუჯი	
29.	Hand (ხელი)	Kheh	ხე	
30.	Fingers (თითები)	Keetee	კითი	[ინგლისური სიტყვა მრავლობით რიცხვშია, მეგრული სიტყვა <b>კითი</b> კი ნიშნავს თითს, შესაბამისად უნდა იყოს <b>კითეფი</b> (თითები)]

თავი 2. ქართველური ენების შედარებითი ლექსიკონის ანალიზი

№	ინგლისური	ინგლისურად ტრანსლი- ტერირებული მეგრული ეკვივალენტი	მეგრული ეკვივალენტი	კომენტარი
31.	Nails (ფრჩხილები)	<b>Byrtekha</b>	ბირცხა	[სიტყვა არასწორადაა ტრანსლიტერირებული, სავარაუდოდ იგულისხმება სიტყვა <b>ბირცხა</b> , რომელიც ფრჩხილს ნიშნავს. ინგლისური სიტყვა მრავლობით რიცხვშია, შესაბამისად მისი ზუსტი შესატყვისია <b>ბირცხეფი</b> (ფრჩხილები)]
32.	Foot (ფეხი)	Koochkhy	კუჩხი	
33.	Knee (მუხლი)	<b>Boorgooly</b>	ბირგული	[სიტყვაში მცირე უზუსტობაა, <b>oo</b> -ს ნაცვლად უნდა იყოს <b>o</b> -ს აღმნიშვნელი რომელიმე ასო ან ასოთა კომპლექსი]
34.	Skin (ტყავი)	Tkhebby	ტყები	
35.	Flesh (ხორცი)	Khortsy	ხორცი	
36.	Bone (ძვალი)	Tswally	ძვალი	
37.	Blood (სისხლი)	<b>Seeskhelly</b>	ზისხირი	[სიტყვა არასწორადაა ტრანსლიტერირებული]
38.	Heart (გული)	Gooree	გური	
39.	Milk (რძე)	Bjah	ბჟა	
40.	Sleep (ძილი)	Looree	ლური	
41.	Love (სიყვარული)	<b>Warts</b>	?????	[ტრანსლიტერირებული სიტყვა გაუგებარია, უნდა იყოს <b>ცოროფა</b> ]



ინგლისურ-ქართული ლექსიკოგრაფიის უცნობი ფურცლები

№	ინგლისური	ინგლისურად ტრანსლი- ტერირებული მეგრული ეკვივალენტი	მეგრული ეკვივალენტი	კომენტარი
42.	Sun (მზე)	Bja	ბჟა	
43.	Moon (მთვარე)	Toota	თუთა	
44.	Star (ვარსკვლავი)	<b>Mooroots</b>	მურიცხი	[სიტყვა არასწორადაა ტრანსლიტერირებული]
45.	Rain (წვიმა)	<b>Cheema</b>	ჭვემა	[სიტყვა არასწორადაა ტრანსლიტერირებული]
46.	Lightning (ელ- ვა, გაელვება)	Valy	ვალი	
47.	Snow (თოვლი)	Terree	თირი	
48.	Ice (ყინული)	Eenee	ცინი	[მეგრული ყრუ ბგერას – ყ არ შეესაბამება ინგლი- სური ბგერები, შესაბამი- სად სიტყვა სწორადაა ტრანსლიტერირებული]
49.	Day (დღე)	<b>Ga</b>	ღა	[ტრანსლიტერაციაში მცირე უზუსტობაა, სიტყ- ვის დასაწყისში გამოტოვე- ბულია თანხმოვანი <b>ღ</b> ]
50.	Night (ღამე)	Zerry	სერი	
51.	Year (წელიწადი)	<b>Tsanamatsana</b>	წანა, წანმოწანა	[ტრანსლიტერაციაში უზუსტობაა]
52.	Earth (მიწა)	Deehka	დიხა	
53.	Water (წყალი)	Ttskary	წყარი	[ტრანსლიტერაციაში ძა- ლიან მცირე უზუსტობაა, სიტყვის დასაწყისში ერთი t ზედმეტია]

თავი 2. ქართველური ენების შედარებითი ლექსიკონის ანალიზი

№	ინგლისური	ინგლისურად ტრანსლი- ტერირებული მეგრული ეკვივალენტი	მეგრული ეკვივალენტი	კომენტარი
54.	Mountain (მთა)	Keerdey	კირდე	[თარგმანი არაზუსტია, <b>კირდე</b> ნიშნავს კლდეს, ინგლისური სიტყვის ზუსტი შესატყვისია <b>გვალა</b> , რაც ნიშნავს მთას]
55.	Fire (ცეცხლი)	<b>Datshkhley</b>	დაჩხირი	[ტრანსლიტერაციაში უზუსტობაა]
56.	Heat (სითბო)	<b>Tbeela</b>	?????	[ტრანსლიტერირებული სიტყვის მნიშვნელობა გაუგებარია, სავარაუდოდ იგულისხმება ქართული სიტყვა „თბილა/თბილი“. ინგლისური სიტყვის მეგრული შესატყვისია <b>სიტობა</b> , რაც ნიშნავს სითბოს]
57.	Stone (ქვა)	Kooa	ქუა	
58.	Gold (ოქრო)	<b>Mokro</b>	ოქრო	[ტრანსლიტერაციაში მცირე უზუსტობაა, სიტყვის დასაწყისში <b>m</b> ზედმეტია]
59.	Silver (ვერცხლი)	Kvartchkheely	კვარჩხილი (მვ.)	
60.	Salt (მარილი)	<b>Joomy</b>	ჯიმუ	[ტრანსლიტერაციაში უზუსტობაა, <b>oo</b> და <b>y</b> ასოების ადგილი გადანაცვლებულია]
61.	Tree (ხე)	<b>Tkah</b>	<b>ტყა</b>	[თარგმანი არაზუსტია. <b>ტყა</b> ნიშნავს ტყეს. ინგლისური სიტყვის მეგრული შესატყვისი კი არის – <b>ჯა</b> (ხე)]

### 2.3. ლექსიკონის ინგლისურ-სვანური ნაწილი

ჯორჯ ელისის ლექსიკონის სვანური ნაწილი მხოლოდ 60 სიტყვას მოიცავს, ისევე როგორც მისი რუსული წყარო და ყველაზე მეტი შეცდომა და უზუსტობა სწორედ ამ ნაწილში ვლინდება. ლექსიკონში შეტანილი სვანური სიტყვების თითქმის 60% არასწორადაა ტრანსლიტერირებული და, ხშირად, სვანური ეკვივალენტი არ შეესაბამება ინგლისურ სიტყვას. ეს ფაქტი ალბათ სვანური ენის სირთულით უნდა აიხსნას.

№	ინგლისური	ინგლისურად ტრანსლიტერირებული ქართული ეკვივალენტი	სვანური ეკვივალენტი	კომენტარი
1.	God (ღმერთი)	Gherbet	ღერბეთ	[ინგლისური სიტყვა გადათარგმნილია სვანურ ბალსზემოურ დიალექტზე]
2.	Heaven (ცა)	Tsah	ცა	[სიტყვა არასწორადაა თარგმნილი სვანურად, სავარაუდოდ ნაგულისხმებია ინგლისური სიტყვის ქართული შესატყვისი – ცა, უნდა იყოს დეც]
3.	Father (მამა)	Moo	მუ	
4.	Mother (დედა)	Dee	დი	
5.	Son (ვაჟიშვილი)	Yezag	?????	[ტრანსლიტერირებული სიტყვის მნიშვნელობა გაუგებარია. სვანურად შვილი არის გეზალ, სავარაუდოდ ნაგულისხმებია სწორედ ეს სიტყვა. ხოლო მოცემულ ინგლისურ სიტყვას უფრო მეტად შეესატყვისება ჰყინტ-გეზალ / ნაღჟურგეზალ [ვაჟიშვილი]

თავი 2. ქართველური ენების შედარებითი ლექსიკონის ანალიზი

№	ინგლისური	ინგლისურად ტრანსლიტერირებული ქართული ეკვივალენტი	სვანური ეკვივალენტი	კომენტარი
6.	Daughter (ქალიშვილი)	Zoonak	სრმაქ /სიმაქ [ქალიშვილი]	[სიტყვა არასწორადაა ტრანსლიტერირებული]
7.	Brother (ძმა)	Moohkbay	მუხუბე (ძმისთვის)	[ხშირად სიტყვის შუაში უ ხმოვანი იკარგება და ისმის როგორც მუხბე, ძირითადად ეს ხდება ლაბიალურთა მეზობლობაში. სვანური სიტყვა, სავარაუდოდ, ტრანსლიტერირებულია სწორედ ამ წესის გათვალისწინებით]
8.	Sister (და)	Datchoor	დაჩუირ (ძმისთვის)	[სვანურ ენაში უ სახელობითი ბრუნვის ნიშნის გავლენით (რომელიც დღევანდელ სვანურში აღარ არსებობს) გაუმლაუტდა: დაჩურ-ი>დაჩუირ>დაჩუირ. სვანური სიტყვა, სავარაუდოდ, ტრანსლიტერირებულია სწორედ ამ წესის გათვალისწინებით]
9.	Husband (ქმარი)	Chash	ჭაშ	
10	Wife (ცოლი)	Aikhoo	ხეხუ	[ტრანსლიტერაციაში უზუსტობაა, სიტყვის დასაწყისში გამოტოვებულია თანხმოვანი ხ]
11	Girl (გოგო)	Soorag	ზურაღ [ქალი]	[ტრანსლიტერაციაში უზუსტობაა, გ-ს ნაცვლად უნდა იყოს ლ]
12.	Boy (ბიჭი)	Tshkynta	ჭყინტ	[ტრანსლიტერაციაში უზუსტობაა, სიტყვის ბოლოს ა ზედმეტია]

ინგლისურ-ქართული ლექსიკოგრაფიის უცნობი ფურცლები

№	ინგლისური	ინგლისურად ტრანსლიტე- რირებული ქართული ეკვივალენტი	სვანური ეკვივალენტი	კომენტარი
13.	Child (ბავშვი)	<b>Bobsh</b>	?????	[ტრანსლიტერირებული სიტყვის მნიშვნელობა გაუგებარია. სავარაუდოდ ნაგულისხმებია <b>ბეფშუ</b> , რომელიც ნიშნავს ბავშვს]
14.	Man (კაცი)	Maray	მარე / მარე	
15.	People (ხალხი, ერი)	<b>Khvaeema-ray</b>	?????	[ტრანსლიტერირებული სიტყვის მნიშვნელობა გაუგებარია, უნდა იყოს – <b>ხალხ</b> ]
16.	Head (თავი)	Tkhoom	თხუმ	[სვანური სიტყვის კითხვის წესისათვის იხ. კომენტარი № 8]
17.	Nose (ცხვირი)	<b>Yepkhna</b>	ნეფხუნა	[ტრანსლიტერაციაში არის უზუსტობა, <b>y</b> -ის ნაცვლად უნდა იყოს <b>n</b> . სვანური სიტყვის კითხვის წესისთვის იხ. კომენტარი № 7]
18.	Eye (თვალი)	Tay	თე	
19.	Ear (ყური)	Shdeem	შდიმ	
20.	Forehead (შუბლი)	<b>Neekba</b>	ნებგუა	[სიტყვა არასწორადაა ტრანსლიტერირებული]
21.	Hair (თმა)	Patoo	ფათუ	
22.	Mouth (პირი)	Peel	პილ	
23.	Teeth (კბილები)	Shdik	შდიქ	[ <b>შდიქ</b> არის კბილი, ინგლისური სიტყვა მრავლობით რიცხვშია, შესაბამისად უნდა იყოს <b>შდექარ</b> – კბილები]

თავი 2. ქართველური ენების შედარებითი ლექსიკონის ანალიზი

№	ინგლისური	ინგლისურად ტრანსლიტე- რირებული ქართული ეკვივალენტი	სვანური ეკვივალენტი	კომენტარი
24.	Tongue (ენა)	Nin	ნინ	
25.	Beard (წვერი)	Waray	უარე	
26.	Neck (კისერი)	<b>Kinshkh</b>	კინჩხ	[ტრანსლიტერაციაში უზუსტობაა, <b>sh</b> -ის ნაცვლად უნდა იყოს <b>ch</b> ]
27.	Shoulder (მხარი)	<b>Mekher</b>	?????	[ტრანსლიტერირებული სიტყვის მნიშვნელობა გაუგებარია, უნდა იყოს <b>ზარჯ</b> ]
28.	Hand (ხელი)	Shee	ში	
29.	Fingers (თითები)	<b>Pkhooyay</b>	ფხოლე	[ტრანსლიტერაციაში უზუსტობაა, მხოლოდითი რიცხვის შემთხვევაში სიტყვის შუაში <b>y</b> -ის ნაცვლად უნდა იყოს <b>l</b> . თუმცა ინგლისური სიტყვა მრავლობით რიცხვშია, შესაბამისად მისი სვანური შესატყვისი იქნება <b>ფხოლწ</b> / <b>ფხოლოლ</b> ]
30.	Nails (ფრჩხილები)	Tskhah	ცხა	[მხოლოდითი რიცხვის აღმნიშვნელი სვანური სიტყვა სწორადაა თარგმნილი, თუმცა ინგლისური სიტყვა მრავლობით რიცხვშია, შესაბამისად უნდა იყოს <b>ცხაწ</b> / <b>ცხაწწ</b> (ფრჩხილები)]
31.	Foot (ფეხი)	Cheeshkh	ჭიშხ	
32.	Knee (მუხლი)	<b>Gweyee</b>	?????	[ტრანსლიტერირებული სიტყვა გაუგებარია, უნდა იყოს – <b>ქუთულ</b> ან <b>ღულაღ</b> ]

ინგლისურ-ქართული ლექსიკოგრაფიის უცნობი ფურცლები

№	ინგლისური	ინგლისურად ტრანსლიტერირებული ქართული ეკვივალენტი	სვანური ეკვივალენტი	კომენტარი
33.	Skin (კანი)	Kan	კან [კანი]	
34.	Flesh (ხორცი)	Yekhoo	ლელუ	[სიტყვა არასწორადაა ტრანსლიტერირებული, ყ-ის ნაცვლად უნდა იყოს 1, ხოლო kh-ის ნაცვლად ღ-ს აღმნიშვნელი რომელიმე ნიშანი]
35.	Bone (ძვალი)	Tjeego	ჯიჯუ	[სიტყვა არასწორადაა ტრანსლიტერირებული]
36.	Blood (სისხლი)	Yemmesk	?????	[ტრანსლიტერირებული სიტყვის მნიშვნელობა გაუგებარია, უნდა იყოს – ზისხ]
37.	Heart (გული)	Goo	გუი	[სვანური სიტყვის კითხვის წესისათვის იხ. კომენტარი №8]
38.	Milk (რძე)	Eerdjeh	ლზჯე	[მეექვსე ხმოვანი - ჯ, რომელიც სხვადასხვა გზით მიიღება ამ შემთხვევაში თანხმოდანთგასაყარია, იშვიათად ძირშიც გვხვდება. ყველა შემთხვევაში სიტყვა არასწორადაა ტრანსლიტერირებული]
39.	Sleep (ძილი)	Looree	?????	[ტრანსლიტერირებული სიტყვის მნიშვნელობა გაუგებარია, უნდა იყოს უჟ (ძილი), იცნაუ / ჰისტამ (სიზმარი)]
40.	Sun (მზე)	Meej	მიჟ	
41.	Moon (მთვარე)	Mij	?????	[ტრანსლიტერირებული სიტყვა, სავარაუდოდ, აღნიშნავს მიჟ-ს, მზეს, უნდა იყოს დომდულ]

თავი 2. ქართველური ენების შედარებითი ლექსიკონის ანალიზი

№	ინგლისური	ინგლისურად ტრანსლიტერირებული ქართული ეკვივალენტი	სვანური ეკვივალენტი	კომენტარი
42.	Star (ვარსკვლავი)	Antkvesk	?????	[ტრანსლიტერირებული სიტყვის მნიშვნელობა გაუგებარია, უნდა იყოს მუტყჷსგ /ამტყჷსგ]
43.	Rain (წვიმა)	Ootchga	უჩხა	[ტრანსლიტერაციაში უზუსტობაა, გ-ს ნაცვლად უნდა იყოს ხ-ს აღმნიშვნელი რომელიმე ასო]
44.	Lightning (ელვა, გაელვება)	Elvae	?????	[ტრანსლიტერირებული სიტყვის მნიშვნელობა გაუგებარია, სავარაუდოდ ნაგულისხმებია ინგლისური სიტყვის ქართული შესატყვისი – ელვა. უნდა იყოს ლიჰლეღ [გაელვება], ლიტგლტგნე [ელვარება]]
45.	Snow (თოვლი)	Moos	მუს	
46.	Ice (ყინული)	Kvarem	კჷარემ	
47.	Day (დღე)	Deshdwee	?????	[ტრანსლიტერირებული სიტყვის მნიშვნელობა გაუგებარია, უნდა იყოს ლადჷღ /ლადეღ]
48.	Night (ღამე)	Leket	ლჷთ/ლეთ	[ტრანსლიტერაციაში უზუსტობაა, სიტყვის შუაში თანხმოვანი k ზედმეტია]
49.	Year (წელიწადი)	Sahee	ზჷჷ	[ტრანსლიტერაციაში უზუსტობაა, სიტყვის შუაში h ზედმეტია. სიტყვა ნათარგმნია ბალსზემოურ დიალექტზე]
50.	Earth (მიწა)	Gheem	გიმ	
51.	Water (წყალი)	Veets	ლიც	[ტრანსლიტერაციაში უზუსტობაა, v-ს ნაცვლად უნდა იყოს l]



ინგლისურ-ქართული ლექსიკოგრაფიის უცნობი ფურცლები

№	ინგლისური	ინგლისურად ტრანსლიტერირებული ქართული ეკვივალენტი	სვანური ეკვივალენტი	კომენტარი
52.	River (მდინარე)	Gangalits	?????	[ტრანსლიტერირებული სიტყვის მნიშვნელობა გაუგებარია, უნდა იყოს – ჭალაჲ /ჭალაჲ]
53.	Clay (თიხა, ტალახი)	Gheem	გიმ	[თიხა აქ ნათარგმნია როგორც მიწა, უნდა იყოს: უერ (თიხა), ან ტყუალ, ტყერ (ტალახი). გიმ ნიშნავს მიწას]
54.	Mountain (მთა)	Kodj	კოჯ	[ტრანსლიტერირებული სიტყვა არ შეესაბამება მოცემულ ინგლისურ სიტყვას, Mountain ნიშნავს მთას ხოლო კოჯ – კლდეს, უნდა იყოს – ლახუ]
55.	Fire (ცეცხლი)	Hemmek	?????	[ტრანსლიტერირებული სიტყვის მნიშვნელობა გაუგებარია, უნდა იყოს: ლემესგ]
56.	Stone (ქვა)	Kva	კა [ქვა, ფიქალი]	[ტრანსლიტერაციაში უზუსტობაა, უნდა იყოს კა, v ზედმეტია]
57.	Gold (ოქრო)	Oker	ოქურ/ოქრ	[ტრანსლიტერაციაში უზუსტობაა, თუ სიტყვა დაწერილია ბალსზემოურ დიალექტზე e-ს ნაცვლად უნდა იყოს უ-ს აღმნიშვნელი რომელიმე ნიშანი, ხოლო თუ სიტყვა დაწერილია ბალსქვემოურ დიალექტზე – e ზედმეტია]
58.	Silver (ვერცხლი)	Bertskhleh	ვარჩხილ	[სიტყვა არასწორადაა ტრანსლიტერირებული]
59.	Salt (მარილი)	Gheem	ჯიმ	[ტრანსლიტერაციაში უზუსტობაა, gh-ის ნაცვლად უნდა იყოს dj]
60.	Tree (ხე)	Tskhekka	?????	[ტრანსლიტერირებული სიტყვა გაუგებარია, უნდა იყოს – მეგამ /მეგემ]

## 2.4. ქართული ანბანით ჩანერილი ჯორჯ ელისის შედარებითი ლექსიკონი

ლექსიკონის სამივე ნაწილის გაანალიზების შემდეგ, ამ ქვეთავში გაერთიანებულია ყველა ქართველური ენის ლექსიკური მასალა და წარმოდგენილია ცხრილის სახით. ქართული, მეგრული და სვანური სიტყვები ჩანერილია ქართული ანბანით, ტრანსლიტერაციის გარეშე. წითელი ფერით მონიშნულია არაბუსტი ეკვივალენტი, კვადრატულ ფრჩხილებში კი მოთავსებულია არასწორად ტრანსლიტერირებული სიტყვის ან არასწორი ეკვივალენტის სწორი მეგრული და სვანური შესატყვისები.

№	ინგლისური	ქართული	მეგრული	სვანური
1.	God	ღმერთი	ღორონთი	ღერბეთ
2.	Heaven	ცა	ცა	ცა [დეც]
3.	Father	მამა	მუმა	მუ
4.	Mother	დედა	დიდა	დი
5.	Son	შვილი	სქუა	????? [ჰყინტგეზალ / ნაღჟურგეზალ]
6.	Daughter	ქალი	ოსური [სქუა, ოსურსქუა]	სრმაქ / სირმაქ
7.	Brother	ძმა	ჯიმა	მუხტბე (ძმისთვის)
8.	Sister	და	დაჩქიმ	დაჩჟირ (ძმისთვის)
9.	Husband	ქმარი	ქომონჯი	ქაშ
10.	Wife	ცოლი	ჩილი	ხეხტ
11.	Girl	ქალი	ოსური [ძღაბი, ცირა]	ზურნალ

ინგლისურ-ქართული ლექსიკოგრაფიის უცნობი ფურცლები

№	ინგლისური	ქართული	მეგრული	სვანური
12.	Boy	ბიჭი	????? [ბოში]	ჰყინტ
13.	Child	ყმაწვილი, ჩვილი, ყრმა	ბოში [ბომ- ბალანა, ბალანა]	????? [ბეფშუ]
14.	Man	კაცი	კოჩი	მწრე / მარე
15.	People	ხალხი, ერი, კაცი	მარგალი [ხალ- ხი, ერი, კოჩი]	????? [ხალხ]
16.	Head	თავი	დუდი	თხუიმ
17.	Face	პირისახე, სახე	პიჯი	
18.	Nose	ცხვირი	ჩხვინდი	ნეფხუნა
19.	Nostril	ნესტო		
20.	Eye	თვალი	თოლი	თე
21.	Eyebrow	წარბი		
22.	Eyelashes	????? [წამწამები]		
23.	Ear	ყური	ცუჯი	შდიმ
24.	Forehead	შუბლი	ცვა	ნეგტა
25.	Hair	თმა	თომა/თუმა	ფათუ
26.	Cheeks	ლოყა		
27.	Mouth	პირი	პიჯი	პილ
28.	Throat	ყანყრატო, ყელი		
29.	Teeth	კბილები	კიბირი [კიბირეფი]	შდიქ [შდექარ]
30.	Tongue	ენა	ნინა	ნინ
31.	Beard	წვერი	ფრიმული	ტწრე
32.	Neck	კისერი, ყელი	კისერი	კინჩხ
33.	Shoulder	მხარი	ხუჯი	????? [ბარჯ]
34.	Elbow	იდაყვი, წყრთა		

თავი 2. ქართველური ენების შედარებითი ლექსიკონის ანალიზი

№	ინგლისური	ქართული	მეგრული	სვანური
35.	Hand	ხელი	ხე	ში
36.	Fingers	თითი, თითები, თითნი	კითი [კითეფი]	ფხულე [ფხულწრ / ფხულოლ]
37.	Nails	ფრჩხილები	ბირცხა [ბირცხეფი]	ცხა [ცხწრწლ / ცხარწრ]
38.	Belly	მუცელი		
39.	Back	ზურგი		
40.	Foot	ფეხი	კუჩხი	ჭიშხ
41.	Knee	მუხლი	ბირგული	????? [ქუთულ ან ლულჷდ]
42.	Skin	ტყავი	ტყევი	კწნ
43.	Flesh	ხორცი	ხორცი	ლეღუ
44.	Bone	ძვალი	ძვალი	ჯიჯუ
45.	Blood	სისხლი	ზისხირი	????? [ზისხ]
46.	Heart	გული	გური	გუი
47.	Milk	რძე	ბჟა	ლგჯე
48.	Hearing	გაგონება სასმენელი		
49.	Sight	მხედველობა, ხედვა		
50.	Taste	გემოვნება, გემო		
51.	Smelling	ყნოსვა		
52.	Feeling	შეგრძნება, გრძნობა		
53.	Voice	ხმა		
54.	Name	სახელი		
55.	Cry	ყვირილი		

ინგლისურ-ქართული ლექსიკოგრაფიის უცნობი ფურცლები

№	ინგლისური	ქართული	მეგრული	სვანური
56.	Noise	ყაყანი, გრგვინვა, ჩხუბი		
57.	Clamour	ტირილი, გოდება, ტყება		
58.	Word	საუბარი, სიტყვა		
59.	Sleep	ძილი, სიზმარი	ლური	????? [უჟ; იცნაჷ / ჰისტამ]
60.	Love	სიყვარული	????? [ცოროფა]	
61.	Pain	ტკივილი, სალმობა		
62.	Toil	გარჯილობა, შრომა		
63.	Work	მუშაკობა, მუშაობა		
64.	Force	ძალი, ღონე		
65.	Power	ძალი, ღონე		
66.	Authority	შეძლება, ხელმწიფება		
67.	Marriage	შეუღლება, ქორწინება		
68.	Life	სიცოცხლე, ცხოვრება		
69.	Stature	ტანი		
70.	Spirit	სული		
71.	Death	სიკვდილი		
72.	Cold	სიცივე		
73.	Circle	სიმრგვალე		

თავი 2. ქართველური ენების შედარებითი ლექსიკონის ანალიზი

№	ინგლისური	ქართული	მეგრული	სვანური
74.	Globe	ბურცი		
75.	Sun	მზე	ბჟა	მიჟ
76.	Moon	მთვარე	თუთა	????? [დომდულ]
77.	Star	ვარსკვლავი	მურიცხი	????? [მუტყასგ / ამტყუასგ]
78.	Ray	შუქი, სხივი, შარავანდი		
79.	Wind	ნიავი, ქარი		
80.	Storm	ბუქი		
81.	Rain	წვიმა	ჭვემა	უჩხა
82.	Hail	სეტყვა		
83.	Lightning	ელვა, ელვარება	ვალი	????? [ლიჰლელ, ლიტგლტგნე]
84.	Snow	თოვლი	თირი	მუს
85.	Ice	ყინული	ყინი	კტარემ
86.	Day	დღე	დღა	????? [ლადალ / ლადელ]
87.	Night	ღამე	სერი	ღეთ/ღეთ
88.	Morning	დილა		
89.	Evening	სადამო, მწუხრი		
90.	Summer	ზაფხული,		
91.	Spring	გაზაფხული		
92.	Autumn	შემოდგომა		
93.	Winter	ზამთარი		
94.	Year	წელიწადი	წანა, წანმოწანა	ზჰა

ინგლისურ-ქართული ლექსიკოგრაფიის უცნობი ფურცლები

№	ინგლისური	ქართული	მეგრული	სვანური
95.	Time	დრო, ჟამი		
96.	Earth	მიწა	დიხა	გიმ
97.	Water	წყალი	წყარი	ლიც
98.	Sea	ზღვა		
99.	River	მდინარე		????? [ჰალანდ/ჰალან]
100.	Waves	ღელვა		
101.	Sand	ქვიშა		
102.	Clay	თიხა		გიმ [ჟერ; ტყუალ, ტყერ]
103.	Dust	მტვერი		
104.	Dirt	ლაფი, ტალახი		
105.	Mountain	მთა	კირდე [გვალა]	კოჯ [ლახუ]
106.	Coast	წყლისნაპირი		
107.	Hill	ბორცვი		
108.	Valley	ვაკე, ბარი, ველი		
109.	Air	ჰაერი		
110.	Vapour	ორთქლი		
111.	Fire	ცეცხლი	დაჩხირი	????? [ლემესგ]
112.	Heat	ნაკვერჩხალი	????? [სიტობა]	
113.	Depth	სიღრმე		
114.	Height	სიმაღლე		
115.	Breadth	სიგანე		
116.	Length	სიგრძე		
117.	Hole	ნახვრეტი		

თავი 2. ქართველური ენების შედარებითი ლექსიკონის ანალიზი

№	ინგლისური	ქართული	მეგრული	სვანური
118.	Pit	ორმო		
119.	Ditch	მთხრებლი		
120.	Stone	ქვა	ქუა	კა
121.	Gold	ოქრო	ოქრო	ოქტრ/ოქრ
122.	Silver	ვერცხლი	კვარჩხილი	ვარჩხილ
123.	Salt	მარილი	ჯიმუ	ჯიმ
124.	Miracle	საკურველი		
125.	Forest	ტყე		
126.	Grass	ბალახი, თივა		
127.	Tree	ხე	ტყა [ჯა]	????? [მეგამ /მეგემ]
128.	Pole	პალო, მარგილი		
129.	Verdure	მწვანილი [მცენარეულობა]		



## დასკვნა

ჯორჯ ელისის ქართველური ენების ლექსიკონის შესწავლამ გამოავლინა, რომ ის უდავოდ საინტერესო ნაწარმოებია ინგლისურ-ქართული ლექსიკოგრაფიის ისტორიის ადრეული ეტაპის შესასწავლად. როგორც აღინიშნა, ეს ლექსიკონი არის პირველი ნიმუში ქართველური ენების განხილვისა ინგლისურ ენასთან მიმართებით და მან ნამდვილად გააღვიძა ინტერესი ქართველური ენების შესწავლისადმი. XIX საუკუნეში გაგრძელდა ინგლისელი ავტორების ინტერესი ქართველური ენებისადმი. 1883 წელს დემეტრიუს (დიმიტრი) რუდოლფ პიკოკმა გამოაქვეყნა ხუთი, როგორც თვითონ უწოდებს, დასავლურ კავკასიური ენის ლექსიკონი (*Original Vocabularies of Five West Caucasian Languages compiled on the spot by Mr. Peacock*), ეს ენებია: ქართული, მეგრული, ლაზური, სვანური და აფხაზური (ოძელი 1998; Kikvidze, Pachulia 2019). პიკოკი გარკვეული დროის განმავლობაში ცხოვრობდა საქართველოში და იყო ბათუმის ვიცე-კონსული. სწორედ ამიტომ, ბენგალის აზიურმა საზოგადოებამ მას დაავალა ლექსიკონის მასალის შეკრება. ამავე პერიოდში ინტერესდებიან საქართველოთი და ქართველური ენებით ოლივერ და მარჯორი უორდროპები (ოლივერ უორდროპმა შეადგინა „ინგლისურ-სვანური ლექსიკონი“).

ჯორჯ ელისის ლექსიკონი საინტერესოა ქართული, მეგრული და სვანური სიტყვების ინგლისურად გადატანის თვალსაზრისით. ტრანსლიტერაციის წესები საკმაოდ საინტერესოდ და კვალიფიციურადაა შედგენილი და მორგებულია ახალი ინგლისური ენის კითხვის წესებს. ბევრი რთული სიტყვა დიდი სიზუსტითაა გადატანილი ინგლისურად, შეცდომები კი უმთავრესად რუსულ წყაროს უკავშირდება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტრანსლიტერაციის წესებზე დაკვირვება, განსაკუთრებით კი ქართული თანხმოვნების ინგლისურად გადატანის წესების სიჭრელე, ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ქართული, მეგრული და სვანური სიტყვები, რიგ შემთხვევაში, შესაძლოა ზეპირი გზით იყოს ჩაწერილი.

ჯორჯ ელისის ლექსიკონი საინტერესოა იმის გამოც, რომ მასში ქართველური ენები მოხვდა ენათა გენეზისური კავშირების კვლევისა და ენათა ნათესაობის დადგენის კონტექსტში. ამ დროისათვის ჯერ კიდევ არ არის გამოქვეყნებული ფრანც ბოპისა და რასმუს რასკის ეპოქალური მნიშვნელობის შრომები (Franz Bopp: *On the Conjugation System of Sanskrit in comparison with that of Greek, Latin, Persian and Germanic*; Rasmus Rask: *Introduction to the Grammar of the Icelandic and other Ancient Northern Languages*), რომლებმაც დასაბამი მისცეს ენათა მეცნიერულ შესწავლას და ისტორიულ-შედარებითი მეთოდის საბოლოო ჩამოყალიბებას. თუმცა უკვე საკმაოდაა მომწიფებული ლინგვისტური აზრი იმის შესახებ, რომ ენებს შორის არსებული მსგავსება არ შეიძლება იყოს შემთხვევითი და შესაძლოა მეტყველებდეს მათ წარმომავლობაზე რომელიმე საერთო წყაროდან.

სწორედ ამ ინტერესმა მისცა ბიძგი ენების შედარებით შესწავლას. შეიქმნა სიტყვათა სხვადასხვა სიები, რომლებსაც მეცნიერები უწერდნენ ეკვივალენტებს მსოფლიოს სხვადასხვა ენებზე. იმპერატრიცა ეკატერინე მეორემ, რომელმაც პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიას დაუკვეთა მსოფლიოს ენათა შედარებითი ლექსიკონის შექმნა, პირველი სია თავად შეადგინა და თავად მოიწვია პ.ს. პალასი ამ პროექტის განსახორციელებლად. საინტერესოა, რომ ის თემატური ჯგუფები, რომლებიც ასეთ სიებში შევიდა (ნათესაობის აღმნიშვნელი სიტყვები; ადამიანის, მისი სხეულის ნაწილებისა და სახის ნაკეთების აღმნიშვნელი სიტყვები; ციური სხეულები; ბუნებრივი მოვლენების აღმნიშვნელი სიტყვები; გარემომცველი გეოგრაფიული გარემოს აღმნიშვნელი სიტყვები და სხვა), მოგვიანებით მნიშვნელოვან ადგილს დაიკავეს ენათა ოჯახების შესწავლის საქმეში.

მიუხედავად ასეთი დიდი ინტერესისა ენათა ნათესაობის საკითხისადმი, ჩვენ ვხედავთ მეთოდოლოგიურ შეცდომებს ენობრივი მასალის შერჩევისა და შედარების თვალსაზრისით. ამ მეთოდის შეცდომა ისაა, რომ ავტორები ადარებენ მსგავსი მნიშვნელობის სიტყვებს სხვადასხვა ენაში. ეს იყო სწორედ ის, რაც ისტორიულ-შედარებითმა მეთოდმა „გამოასწორა“ და დასაბამი მისცა ენათა მეცნიერულ შესწავლას. ის ცვლილება კი, რაც ამ მეთოდმა მოიტანა არის არა

მსგავსი მნიშვნელობის, არამედ მსგავსი ფორმის სიტყვების შედარება. მონათესავე სიტყვებს ყოველთვის არა აქვთ ერთი და იგივე მნიშვნელობა მონათესავე ენებში და გარკვეულ სემანტიკურ ცვლილებებს განიცდიან. მაგალითისათვის, **ღობის** აღმნიშვნელი ქართველური ძირის სიტყვა ქართულ და მეგრულ ენებში აღნიშნავს **ღობეს**, თუმცა იგივე სიტყვა სვანურში **სკას** ნიშნავს (Fähnrich, Sardschweladse 1990). ინგლისური სიტყვა **fowl** „შინაური ფრინველი“, მის მონათესავე გერმანულ ენაში ნიშნავს „ჩიტს“ (**Vogel**). ამდენად, თუ გერმანულ „ჩიტს“ (**Vogel**) ინგლისურ „ჩიტს“ (**bird**) და არა „შინაურ ფრინველს“ (**fowl**) შევადარებთ, შეცდომა აშკარა იქნება. ასეთი მაგალითები მრავლად შეიძლება მოვიყვანოთ (Gamkrelidze, Ivanov 1995). აღნიშნული შედარებითი ლექსიკონები ენათმეცნიერების განვითარების ადრეულ ეტაპზე იქმნებოდა და, მიუხედავად შეცდომებისა, მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს იმ უდიდეს აღმოჩენაში, რასაც ენათა მეცნიერული შესწავლა და ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების შექმნა მოჰყვა.

## გამოყენებული ლიტერატურა

- ვიტსენი, ნ. (2013). *ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი ტარტარეთი. საქართველო ანუ იბერია და სამეგრელო*. თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“.
- თოფურია, ვ. *სვანური ენის სახელმძღვანელო*. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ქართული ენის ინსტიტუტის შრომები #1. <http://kartvelologybooks.tsu.ge/uploads/book/Topuria.pdf> (n.d)
- მარგალიტაძე, თ. ევროპულ-ქართული ლექსიკოგრაფიის სათავეებთან. თბილისი 2014. ჟურნალი „ქართველოლოგი“. გვ 176-206. <http://kartvelologi.tsu.ge/public/ge/arqive/8/7>).
- ოძელი, მ. (1998). *ქართულ-ინგლისური ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიისათვის*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- უთურგაიძე, თ. (1999). *ქართული ენის შესწავლის ისტორია*. ნაწილი I. თბილისი: გამომცემლობა „ქართული ენა“.
- უორდროპი, მ. (2019). *ინგლისურ-ქართული ლექსიკონი*. თბილისი: ლექსიკოგრაფიის ცენტრი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
- ღლონტი, ალ. (1983). *ქართული ლექსიკოგრაფიის საკითხები*. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.
- ყიასაშვილი, ნ. (1963). ერთი უნიკალური წიგნის შესახებ. გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“. 26 ივლისი.
- Ellis, G. (1788). *Memoir of Map of the Countries Comprahended Between the Black Sea, and the Caspian, with an Account of the Caucasian Nations and Vocabularies of their Languages*. London. <https://books.google.ge/books?id=MnlNAAAACAAJ&printsec=frontcover&source>

Fähnrich H., Sardschweladse S. (1990). *Etymologisches Wörterbuch der Kartwel-Sprachen*. Leiden.

Gamkrelidze, Th. V. & Ivanov Vs. V. (1994-1995). *Indo-European and the Indo-Europeans: A reconstruction and historical analysis of a proto-language and a proto-culture*. Vols. I-II. Berlin / New York : Mouton de Gruyter.

Kikvidze, Z. & Pachulia, L. (2019). Demetrius Rudolph Peacock and the Languages of Georgia. *General and Specialist Translation / Interpretation: Theory, Methods, Practice: International Conference Papers*. Kyiv: Agrar Media Group, pp. 15-22.

Rostorguyeva, T.A. (2003). *A History of English*. Moscow: Astrel.

## ლექსიკონები

**ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი**. <http://www.ena.ge/explanatory-online> (მასალა მოძიებულ იქნა 2020 წლის მარტში).

**მეგრულ-ქართული ლექსიკონი**. <http://www.ice.ge/liv/liv/megr.php> (მასალა მოძიებულ იქნა 2020 წლის აპრილში).

**სვანური ლექსიკონი**. <http://www.ice.ge/liv/liv/svanur1.php> (მასალა მოძიებულ იქნა 2020 წლის აპრილში).

**Chambers's Etymological Dictionary of the English language**: A New and Thoroughly Revised Edition. Edited by A. Findlatter, M.A., LL.D. 1882. London and Edinburgh.

